# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურ-თის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 7 ივლისი. 2023 წ. №79 (9611) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

„ავაჰმე, ჩემო მამულო“!

## უვიცების დოლი დეგენერატების არენაზე




იხ. 6 გვ.



## პრემიერი ფრანკოფონიის დიდი კომანდორის ხარისხის მედლით დააჯილდოვეს!

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ფრანკოფონიის საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტს ფრანსის დრუენს შეხვდა. მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა საქართველოს მთავრობასა და ფრანკოფონიის საპარლამენტო ასამბლეას შორის არსებულ თანამშრომლობაზე.**

საუბრისას ხაზი გაესვა კავშირების მნიშვნელობას კულტურისა და განათლების მიმართულებით. აქვე, აღინიშნა ხუთი ქართული უნივერსიტეტის თანამშრომლობა ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოსთან.

ასევე, განიხილეს, ფრანგული ენის პოპულარიზაციის გარდა, ფრანკოფონიის საპარლამენტო ასამბლეის როლის მნიშვნელობა დემოკრატიის განვითარებისა და ადამიანის უფლებების დაცვის საქმეში, რა კუთხითაც ის წარმოადგენს ერთგვარ პლატფორმას წევრ ქვეყნებს შორის. მთავრობის ადმინისტრაციაში გამართული შეხვედრის შემდეგ, ფრანსის დრუენმა საქართველოს პრემიერ-მინისტრი დიდი კომანდორის ხარისხის მედლით დააჯილდოვა და სპეციალური სერტიფიკატი გადასცა.

## მაოხრებელი პატიმრის ახალი ვნებანი



3

„მიხეილ სააკაშვილის ეკრანზე გამოჩენა თავისი ლობისტების მხრიდან კიდევ ერთი გეგმის ნაწილია და ეს უპრეცედენტო შემოტევა, რომელიც უკრაინიდან დაიწყო, შემთხვევითი არ არის“



7

## ...ამან ნიანგზე იქორწინა, იმან კატა შეირთო ცოლად!



5

## ბუნებისა და საზოგადოების სამსახურში მან დროს გაუსწრო

**არჩილ კიკნაძე – 90**

## საქართველოს დერეფანში გამავალი ტვირთები ახლო მომავალში უნდა გაათმაგდეს

2

გიორგი კალანდია:



9

## ორი ძვირფასი ქართული ხელნაწერი ბრიტანეთის ბიბლიოთეკის კოლექციისთვის გაიგზავნა



9

## როკვით, კალმით და ზნეკეთილობით მოვარგებული წუთისოფელი

**თენგიზ უთმელიძე – 85**

# პრემიერი საქართველოში იაპონიის ახალ ელჩს იშიძუკა ჰიდეკის შეხვდა



**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი საქართველოში იაპონიის ახლად დანიშნულ ელჩს, იშიძუკა ჰიდეკის შეხვდა,** – ინფორმაციას პრემიერ-მინისტრის პრესსამსახური ავრცელებს.

მათივე ცნობით, გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე მთავრობის მეთაურმა იაპონიის ელჩს საქართველოში დიპლომატიური მისიის დაწყება მიულოცა და წარმატებები უსურვა. საუბრისას ყურადღება გამახვილდა ორი ქვეყნის თანამშრომლობაზე სხვადასხვა მიმართულებით. განიხილეს საქართველოსა და იაპონიას შორის არსებული ეკონომიკური კავშირები და მისი კიდევ უფრო მეტად გაღრმავების პერსპექტივები.

ასევე, აღინიშნა საქართველოში არსებული ხელსაყრელი ბიზნესგარემო და ხაზი გაესვა, რომ ქვეყანაში აქტიური მუშაობა მიმდინარეობს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის კუთხით. შეხვედრაზე ყურადღება დაეთმო თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივებს ინვესტიციების მოზიდვის, ექსპორტის ხელშეწყობისა და მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების კუთხით. ირაკლი ღარიბაშვილმა იშიძუკა ჰიდეკის საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი იაპონიის მტკიცე მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

# დავით ქართველიშვილი: მეუფე შიო, მუდამ გახსოვდეთ, რომ იუდა ისკარიოტელი უფლის უშუალო და უახლოეს წრეს განეკუთვნებოდა!..



**...ჯერ პატრიარქი, მერე მისი მდივან-რეფერენტი, ახლა პატრიარქის მოსაყდრე... შემდეგი ვინაა? არადა, იმ პოტენციურად ექვმიტანილ ძალთა სია, ვის მოტივაციაშიც შედის ფატალური შედეგის დადგომა, ძალზე „ვიწროა“.**

**ჩვენ, ტრადიციისამებრ, ამ შემთხვევაშიც, დიდი ალბათობით, ვერ გავიგებთ კონკრეტული შემკვეთის ვინაობას. უბრალოდ, ვილოცოთ მეუფე შიოს ჯანმრთელობისთვის, მომავალში სიფრთხილისაკენ მოვუწოდოთ მას და ყოველთვის ახსოვდეს: იუდა ისკარიოტელი უფლის უშუალო და უახლოეს წრეს განეკუთვნებოდა, როგორც მზაკვრობის განმხორციელებელი. ხოლო დამკვეთი ვინაა, თანამედროვე „სინედრიონის“ სახით, უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპიდან გამომდინარე, აქ ვარაუდების დონეზეც კი ვერ დავწერ“...** – წერს ქართველიშვილი სოციალურ ქსელში.

მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, საპატრიარქოს ტახტის მოსაყდრე მეუფე შიო მოწამლეს...

# ცისანა შარტავა: მეუფე შიო თავს კარგად გრძნობს

**საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის ექიმის, ცისანა შარტავას ინფორმაციით, პატრიარქის მოსაყდრე, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტი მეუფე შიო (მუჯირი) თავს კარგად გრძნობს.**

როგორც შარტავამ საქართველოს პირველ არხს განუცხადა, ამის შესახებ ინფორმაცია მას საპატრიარქოდან მიაწოდეს

**...კარგად გრძნობს თავს. დავრეკე და მითხრეს, რომ აბსოლუტურად კარგად ბრძანდება. რაც მთავარია, ეს კი გავიგე, უამისოდ ვერ მოვისვენებდი და დანარჩენი არაფერი ვიცი. ეს ისტორია რა იყო, რა არის, არაფერი ვიცი,** – განაცხადა ცისანა შარტავამ.

# საქართველოსა და უნგრეთის იუსტიციის სამინისტროები კიდევ უფრო დაემეგობრდნენ

საქართველოსა და უნგრეთის იუსტიციის მინისტრებმა რატი ბრეგაძემ და იუდიტ ვარგამ ხელი მოაწერეს ორი ქვეყნის იუსტიციის სამინისტროებს შორის ერთობლივ დეკლარაციას. ინფორმაციას იუსტიციის სამინისტროს პრესსამსახური ავრცელებს.

**„ერთობლივი დეკლარაცია ლოგიკური გაგრძელებაა იმ მჭიდრო და სწრაფი თანამშრომლობისა, რომელიც საქართველოსა და უნგრეთის იუსტიციის მინისტრებს შორის 2021 წელს ვენეციაში გამართულ ევროპის საბჭოს მინისტერიალის ფარგლებში დაიწყო. დეკლარაციის მიზანი ორ სახელმწიფოს შორის იუსტიციის სფეროში შემავალ კონკრეტულ თემატურ საკითხებზე ცოდნის, გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება, ასევე მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში დაგეგმილი მთავრობათაშორისი შეხვედრის მომზადებაა“.**

# ღვინის ეროვნული სააგენტო ევროკავშირის პროექტში „ECO@WINE“ ერთვება

სააგენტოს ინფორმაციით, ევროკავშირის პროგრამის „ჰორიზონტი ევროპა“ სასწავლო პროექტი **„Eco@Wine“** მიზნად ისახავს მეღვინეობაში გლობალური ინოვაციებისა და კომუნიკაციის გაძლიერებას. პროექტის განხორციელება 2023 წლის ბოლოს დაიწყება.

მილანის უნივერსიტეტის მიერ კოორდინირებული **„Eco@Wine“**-ის პარტნიორები არიან საქართველოს, იტალიის, გერმანიის, საფრანგეთის, ესპანეთის, სლოვენიის და სამხრეთ აფრიკის ქვეყნები და შესაბამისი უნივერსიტეტები: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მილანის უნივერსიტეტი, ბურგუნდიის უნივერსიტეტი, გაიზენჰაიმის უნივერსიტეტი, პერუჯის უნივერსიტეტი, ლიუბლიანას უნივერსიტეტი, კადისის უნივერსიტეტი და სტელენბოშის უნივერსიტეტი და ესპანეთის ეროვნული კვლევების საბჭო.

# საქართველოს დერეფანში გამავალი ტვირთები ახლო მომავალში უნდა გაათმაგდეს

**საქართველოზე გამავალი დერეფნით ჩვენზე მეტად მეზობელი სახელმწიფოები არიან დაინტერესებულნი. მათთვის ეს მარშრუტი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან დასავლეთ სამყაროსთან კავშირი თანდათანობით ეზღუდებათ.**

საქართველო ძალიან აქტიურობს და პარტნიორ ქვეყნებთან სხვადასხვა ხელშეკრულებებს აფორმებს იმისათვის, რომ ტვირთბრუნვა უფრო მეტად გაზარდოს და შუა დერეფანში უდიდესი როლი შეინარჩუნოს რუსეთ-უკრაინის ომის დასრულების შემდეგაც. სწორედ ამის გამოხატულება იყო ყაზახეთის პრემიერ-მინისტრის, **ალიხან სმაილოვის** საქართველოში ვიზიტიც, რომელიც რამდენიმე დღის წინ თბილისში შედგა, სადაც ყველაზე დიდი ყურადღება შუა დერეფანს და მის მეტად გააქტიურებას დაეთმო.

**„გასული წლის ნოემბერში ჩვენ გავაფორმეთ სამმხრივი მემორანდუმი. პროექტში ჩართულია: აზერბაიჯანი, საქართველო და ყაზახეთი და ვთანამშრომლობთ იმისთვის, რომ ყველა შემაფერხებელი ბარიერი მოიხსნას და „შუა დერეფანი“ გახდეს კიდევ უფრო მეტად მიმზიდველი, მათ შორის, ცენტრალური აზიის ქვეყნებისთვის, ჩინეთისთვის, ზოგადად, აზიის ქვეყნებისთვის, რომ მეტი ტვირთი წამოვიდეს ამ მარშრუტის მეშვეობით „შუა კორიდორში“. ჩვენ გვაქვს კონკრეტული საგზაო რუკა, რომელზეც უკვე შევთანხმდით ყაზახეთთან.**

**ეს არის 5-წლიანი გეგმა, დაახლოებით, 2027 წლამდე ზუსტად ვიცით, რა უნდა გააკეთოს საქართველომ, აზერბაიჯანმა და ყაზახეთმა. ჩვენ ახლა მნიშვნელოვან ინვესტიციებს ვახორციელებთ რკინიგზის მოდერნიზაციის მიმართულებით, რომელიც ძალიან მალე დასრულდება და გააორმაგებს გამტარუნარიანობას. ასევე, გვაქვს სხვა მნიშვნელოვანი პროექტები დაგეგმილი. ვმუშაობთ ასევე ახალი პორტის მშენებლობაზე“,** – განაცხდა **ირაკლი ღარიბაშვილმა** ყაზახ კოლეგასთან ერთად გამართულ შეხვედრაზე.

თავის მხრივ, ყაზახეთის პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტით ტვირთბრუნვის 10 მლნ ტონამდე გაზრდა სურს, რა დროსაც საქართველოსთან სინქრონულ თანამშრომლობას საკვანძოდ მიიჩნევს.

**„საქართველოს და ყაზახეთს მნიშვნელოვანი როლის შესრულება ძალუძთ ევროპასა და აზიას შორის ტრანსპორტის კუთხით. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ტრანსკასპიურ საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტს. 2022 წელს ამ მიმართულებით ტვირთბრუნვა 2-ჯერ გაიზარდა, ხოლო საკონტეინერო გადაზიდვები - 30%-ით. დადებითი დინამიკა დღემდე ნარჩუნდება. გვსურს ამ მიმართულებით საშუალოვადიან პერიოდში 10 მილიონ ტონამდე გავზარდოთ ტვირთბრუნვა. ამ მიზნის მისაღწევად, მხარეები წარმატებით ვახორციელებთ ერთობლივ გზამკვლევს 2022-27 წლებში ამ დერეფნის გასავითარებლად და დაბრკოლებების სინქრონულ რეჟიმში მოსახსნელად“,** – განაცხადა ალიხან სმაილოვმა.



შარშან ამ მარშრუტით გადაზიდული ტვირთის მოცულობა გაორმაგდა და 1,7 მლნ ტონას მიაღწია. ამავდროულად, აზერბაიჯანთან, თურქეთთან და საქართველოსთან გაფორმებული საგზაო რუკების განხორციელების წყალობით, წელს 2 მილიონი ტონა ტვირთის ტრანსპორტირება მოხდება, ხოლო 2025 წლამდე მარშრუტის გამტარუნარიანობა 10 მილიონ ტონას მიაღწევს.

გარდა ამისა, საქართველო მალე შეუერთდება აზერბაიჯანისა და ყაზახეთის პრემიერ-მინისტრების მიერ ბაქოში ხელმოწერილ შეთანხმებას ერთობლივი ლოჯისტიკური კომპანიის შექმნის შესახებ, რომელიც ტრანსკასპიურ საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტს მოემსახურება. ყაზახეთის ინდუსტრიისა და ინფრასტრუქტურული განვითარების მინისტრის **მარატ კარაბაევის** თქმით, ერთობლივ კომპანიას სამი ქვეყანა - ყაზახეთი, აზერბაიჯანი და საქართველო ქმნიან. ერთობლივი ლოგისტიკური კომპანია ტარიფების გაერთიანებასა და შუა დერეფანში ყველა ტვირთის დამუშავებაზე იმუშავებს, ხოლო მთავარი ამოცანა ჩინეთსა და ევროპას შორის ტვირთების გადაზიდვის ყველა პროცედურის მაქსიმალური გამარტივებაა.

კარაბაევი ამბობს, რომ „თუ ადრე მარშრუტზე საქონლის მიწოდების დრო 53 დღე იყო, დღეს ის 18-23 დღემდე შემცირდა, ხოლო ახალი კომპანიის საქმიანობით მიწოდების დრო წელს 18 გარანტირებულ დღემდე, შემდეგ კი 10-15 დღემდე შემცირდება.

საქართველო ცდას არ აკლებს და თავისი როლის გაძლიერებაზე მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს. სატრანსპორტო სფეროს სპეციალისტის **გელა კვაშილავას** შეფასებით, შუა დერეფანის მეტად გააქტიურებას მაქსიმალურად უნდა შეეწყოს ხელი, რათა უფრო ეფექტური და მოქნილი გახდეს.

**„შუა დერეფანი ისეთ აქტიურ ფაზაში შევიდა და იმდენად მოთხოვნადია, რომ ამ გააქტიურებას მაქსიმალურად უნდა შეეწყოს ხელი, რათა უფრო ეფექტური და მოქნილი გახდეს. ციფრები აჩვენებს, რომ ტვირთნაკადი ძალიან გაზრდილია და ახალი რეალობის გათვალისწინებით, მაჩვენებელი კიდევ უნდა გაიზარდოს. როგორც ვიცით, მთავრობა მუშაობს ლოჯისტიკის პროგრამაზე, ტრანსპორტის გაფართოებაზე.**

**ჩვენთვის, მეზობლებისთვის და ზოგადად რეგიონისთვის მნიშვნელოვანია, რომ რუსეთზე დამოკიდებულება რაც შეიძლება ნაკლები იყოს. ბევრი ქვეყანაც ასე ფიქრობს და უკრაინაში რუსეთის აგრესიამ ყველა დაარწმუნა, რომ მათზე დამოკიდებულება ძალიან ცუდია, მათ შორის ამ სატრანსპორტო და ლოგისტიკური მიმართულებითაც“,** – განაცხადა კვაშილავამ და ხაზი გაუსვა, რომ ანალიზი, მართალია, უკვე გაკეთდა, მაგრამ კიდევ უფრო მეტი დაკვირვებაა საჭირო7 რა შეიძლება გაკეთდეს და სად არის გამოწვევები, რომ შემდგომში სწრაფად გადაიჭრას.

**ბექა დანელია**



# მაოხრებელი პატიმრის ახალი ვნებანი

**„მიხეილ სააკაშვილის ეკრანზე გამოჩენა თავისი ლობისტების მხრიდან კიდევ ერთი გეგმის ნაწილია და ეს უპრეცედენტო შემოტევა, რომელიც უკრაინიდან დაიწყო, შემთხვევითი არ არის“**

**ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის და მისი გარემოცვის მორიგი გეგმა – როგორ დააზიანონ ქვეყნის იმიჯი მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოყენებით.**

**მას შემდეგ, რაც სააკაშვილმა სტრასბურგის სასამართლოს მიერ მიიღო პასუხი, რომ საქართველოს ხელისუფლება მას არც აწამებს და არც წამლავს, ექსპრეზიდენტმა ლობისტების მეშვეობით, ახალი კამპანია წამოიწყო. ამის ნათელი მაგალითი მისი 3 ივლისის სასამართლო პროცესზე ჩართვის გადაწყვეტილება იყო, როდესაც ის თავისი ვიზუალის დემონსტრირებით, საზოგადოების შეცდომაში შეყვანას კიდევ ერთხელ შეეცადა. ამ კამპანიაში უმალ ომში მყოფი უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი ჩაერთო, რომელმაც მიხეილ სააკაშვილის უკრაინისთვის გადაცემა მოითხოვა, რათა მას იქ „სათანადო მკურნალობა“ გაუწიონ. ზელენსკიმ საქართველოს ელჩს 48 საათი მისცა საქართველოში გამოფრენისთვის და ხელისუფლებასთან კონსულტაციების გასავლელად. მიუხედავად ამ არადიპლომატიური ჟესტისა, საქართველოს ხელისუფლება ზელენსკის ამ განცხადებას მოზომილი და დიპლომატიური ეტიკეტის დაცვით პასუხობს.**

საქართველოს იუსტიციის მინისტრი **რატი ბრეგაძე** ამბობს, რომ რადიკალებმა განაახლეს ადგილობრივი და საერთაშორისო საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობები და კვლავ მიდის ცილისმწამებლური კამპანია, რომელიც მიხეილ სააკაშვილის უკანონოდ გათავისუფლების მიზნით მიმდინარეობს. „ტყუილზე დაფუძნებული მავნებლური“ კამპანიის მიზანია, მსჯავრდადებულის თავისუფლების უკანონოდ მოპოვება.

იუსტიციის მინისტრის განცხადებით, ქვეყნისათვის დამაზიანებელი ამგვარი კამპანიის წარმოებით გარკვეულ პოლიტიკურ ძალებს სურთ აჟიოტაჟის შექმნა და წარსულში გადაბარგების გადავადება.

სააკაშვილი არ ემორჩილება ექიმების რეკომენდაციებს და ეწევა თვითდაზიანებას. მინისტრის მტკიცებით, სამედიცინო პერსონალმა მას და მის ოჯახს მისცა კონკრეტული რეკომენდაცია, რომელსაც არ ასრულებენ.

რატი ბრეგაძე უკრაინის პრეზიდენტის, ვოლოდიმირ ზელენსკის განცხადებასაც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ეს განცხადება მისთვის სრულიად მიუღებელია, იმიტომ, რომ არ არის მოყვანილი არც ერთი მტკიცებულება და როდესაც საუბარია იმაზე, რომ საქართველოში თითქოს ვინმეს აწამებენ, ბუნებრივია, ამას ვერასდროს დავეთანხმები. თუკი სადმე არის ამ რეგიონში ადამიანის უფლებები დაცული, განსაკუთრებით პენიტენციურ დაწესებულებაში, ლიდერი საქართველოა.

**ის, რომ ადამიანს ესაჭიროება მკურნალობა და არის ერთ-ერთ საუკეთესო კლინიკაში, ვთავაზობთ საკვების მიღებას, მოვუწოდებთ მუდმივად, რომ მიიღოს ექიმებისგან შესაბამისი მკურნალობა – ესაა წამება? თუ ის არის წამება, რომ 2300-მდე ვიზიტორი ჰყავდა, თუ ის, რომ მისი სახელმწიფოს საელჩოს წარმომადგენლები რეგულარულად ნახულობენ?**

**ვინც არ უნდა იყოს, არ აქვს მნიშვნელობა რომელი პოლიტიკური თანამდებობის პირი იქნება და რომელი სახელმწიფოს წარმომადგენელი, ჩვენ, სახელმწიფოს გვაქვს ჩვენი ღირსება, ზუსტად ვიცით, რომ განუხრელად ვიცავთ ადამიანის უფლებებს, მათ შორის ძალიან მაღალ დონეზე პენიტენციურ დაწესებულებებში და ვერავისგან მივიღებთ მსგავსი ტიპის განცხადებას. ეს არის ძალიან სამწუხარო განცხადება, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც საქართველო უკრაინელი ხალხის გვერდით დგას აბსოლუტურად ყველა კრიზისულ სიტუაციაში. იმ ფაქტსაც უნდა გამოვეხმაურო, რომ მათ შორის ჩვენი დიპლომატები საკუთარი სიცოცხლის ფასად იმყოფებოდნენ კიევში ბოლო წუთამდე, იმ დროსაც, როდესაც კიევი იბომბებოდა“,** – განაცხადა რატი ბრეგაძემ.

„ხალხის ძალის“ წევრი და ანალიტიკოსი **დავით ქართველიშვილი** კი მიიჩნევს, რომ მიხეილ სააკაშვილი და მისი ლობისტები ახალ სამოქმედო გეგმაზე არიან გადასულები. ყველამ იცის, რომ ის თვითდაზიანებას მიმართავს. ქართველიშვილი მიიჩნევს, რომ ვოლოდიმირ ზელენსკის ამ კამპანიაში ჩართვა ახალი არ არის და ის ამ გეგმის ნაწილია. ხოლო ამ კამპანიის უკან ქართველიშვილი ამერიკის მიზნებს ხედავს და კანდიდატის სტატუსის მინიჭებას უკავშირებს.

**„მიხეილ სააკაშვილის ეკრანზე გამოჩენა მისი ლობისტების მხრიდან კიდევ ერთი გეგმის ნაწილია და ეს უპრეცედენტო შემოტევა, რომელიც უკრაინიდან დაიწყო, შემთხვევითი არ არის. ეს ყველაფერი სააკაშვილს და მის გარემოცვას კარგად აქვს დაგეგმილი და გაწერილი. 3 ივლისის სასამართლოზე, კვლავ იგივე სცენარი გაითამაშეს, რასაც აქამდე აკეთებდნენ - სააკაშვილის საჩვენებელი გამოსვლა და შემდეგ წინასწარ მომზადებული ტექსტებით გამოხმაურებები. სააკაშვილი მიზანმიმართულად საკუთარ ჯანმრთელობის მდგომარეობას იყენებს და ეს უკვე კითხვებსაც აღარ ბადებს.**

**სააკაშვილმა კარგად იცის, რომ თუ პატიმარი საკვებს ნორმალურად მიიღებს, კარგი ვიზუალი ექნება, თუმცა პოლიტიკური მიზნებისთვის ამის აღიარება არ აწყობთ. ზელენსკიმ ამერიკისგან დავალება მიიღო და ისიც გააქტიურდა. ეს არ არის შემთხვევითი განცხადებები. ამის უკან კი კანდიდატის სტატუსზე უარის თქმასაც ვხედავ. არ გამოვრიცხავ, რომ სააკაშვილის ეს ვიზუალური გამოჩენა სწორედ სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის საბაბად გამოიყენონ. ამით კი ქვეყანაში ის რევოლუციური სცენარი განახორციელონ, რომელიც უკვე რამდენჯერმე სცადეს და არ გამოუვიდათ. ამიტომ უკრაინის პრეზიდენტი, რომელიც ამხელა ომშია ჩართული, უცბად, სააკაშვილის მდგომარეობამ ააღელვა, ძალიან ბევრ ეჭვს აჩენს, როცა სტრასბურგის სასამართლომ ასე ღიად განაცხადა, რომ მას არც არავინ აწამებს და არც არავინ წამლავს. ამიტომ ეს არის ერთი დიდი გეგმის ნაწილი, რომელშიც ზელენსკის როლი კარგად არის გაწერილი“,** – ამბობს ქართველიშვილი.

**ლიკა ბერიკაშვილი**



# გიორგი ბაჩიაშვილის კრიპტო-თაღლითობანი

## თანაინვესტირების ფონდის ყოფილ ხელმძღვანელს ბრალი წარედგინა

**დიდი ოდენობით კრიპტოვალუტის მართლსაწინააღმდეგო მითვისებისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე, თანაინვესტირების ფონდის ყოფილ ხელმძღვანელს გიორგი ბაჩიაშვილს ბრალი წარედგინა.**

**„პროკურატურის მიერ ჩატარებული გამოძიებით დგინდება, რომ ბრალდებულმა გ.ბ.-მ 2015 წლის ზაფხულში, მის მიერ პირადად მობილიზებული და ინვესტორის მიერ გადაცემული თანხებით კრიპტოვალუტა – ბიტკოინის გამომუშავება/მაინინგში ინვესტიცია განახორციელა. ბიტკოინის მაინინგის მომსახურების უზრუნველყოფას ახდენდა უცხოური კომპანია, ბრალდებულის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებულ საწარმოსთან 2015 წლის ივლისში დადებული ერთწლიანი ხელშეკრულების საფუძველზე. ხელშეკრულების ღირებულებად 6 305 000 აშშ დოლარი განისაზღვრა, საიდანაც ინვესტორის კუთვნილი თანხა შეადგენდა 5 000 000 აშშ დოლარს, ხოლო ბრალდებულის – 1 305 000 აშშ დოლარს.**

**„შეთანხმებისამებრ, გ.ბ.-ს დაევალა თანხების ინვესტირების ტექნიკური განხორციელების უზრუნველყოფა, ხოლო სავარაუდოდ მისაღები მოგება, მხარეთა შორის ინვესტირებული თანხების პროპორციულად უნდა განაწილებულიყო. ასევე შეთანხმებისამებრ, ინვესტიციის შედეგად გამომუშავებული კრიპტოვალუტის აკუმულირება უნდა მომხდარიყო ბრალდებულის გამგებლობაში არსებული საწარმოს კუთვნილ კრიპტო საფულეზე.**

**ინვესტიციის შედეგად გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, ერთწლიან პერიოდში გამომუშავებული იქნა 24 661.85 ბიტკოინი, საიდანაც ჩადებული თანხების პროპორციულად და გაწეული ხარჯების გათვალისწინებით, ინვესტორის მიერ სუფთა მოგების სახით მისაღები კრიპტოვალუტა 8 253.13 ბიტკოინს შეადგენდა.**

**ბრალდებულმა, რომლის მართლზომიერ მფლობელობასა და გამგებლობაშიც იმყოფებოდა მაინინგის შედეგად გამომუშავებული სრული კრიპტოვალუტა, 2017 წლის ოქტომბერში, ინვესტორს ჩადებული ინვესტიციიდან მიღებული სრული მოგების სანაცვლოდ მხოლოდ 536 900 აშშ დოლარი გადასცა, ხოლო დარჩენილი ინვესტორის კუთვნილი 8 253.13 ოდენობის ბიტკოინი მართლსაწინააღმდეგოდ მიითვისა, რომლის ღირებულებაც მისი მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლების პერიოდში 39 215 820 აშშ დოლარს შეადგენდა. განსაკუთრებით დიდი ოდენობით კრიპტოვალუტის მართლსაწინააღმდეგოდ მითვისების შემდეგ, ბრალდებულმა დაუფლებული აქტივების უკანონო წარმოშობის დაფარვის მიზნით, კრიპტოვალუტის სხვადასხვა საფულეებზე გადატანის ოპერაციების, განაღდების, სხვადასხვა ეკონომიკური თუ სხვა სახის ურთიერთობაში ჩართვის, მისით სარგებლობის, ქონებების შეძენისა და ფლობის, კონვერსიის და სხვა ქმედებების განხორციელებით, დამალა და შენიღბა მისი ნამდვილი ბუნება, წარმოშობის წყარო, ადგილმდებარეობა, განთავსება, მოძრაობა, მასზე საკუთრების და მასთან დაკავშირებული უფლებები, რითაც მიღებული უკანონო აქტივების თავისუფლად განკარგვისა და გამოყენების შესაძლებლობა მიეცა. აღნიშნულის შემდეგ, ბრალდებულმა განახორციელა მითვისებული აქტივების ფლობა და სარგებლობა, გადაცემა, კონვერსია, უძრავი და მოძრავი ქონების შეძენა, ასევე საწარმო-სუბიექტების მეშვეობით სხვადასხვა ქონებებისა და აქტივების შეძენა/ფლობა და სხვა მოქმედება, რითაც მოახდინა მართლსაწინააღმდეგოდ მითვისებული კრიპტოვალუტის – 8 253.13 ოდენობის ბიტკოინისა და მისი განკარგვის შედეგად მიღებული განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხების ლეგალიზაცია.**

**ბრალდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დიდი ოდენობით კრიპტოვალუტის მართლსაწინააღმდეგო მითვისებისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტებზე დაიწყო, რაც სასჯელის სახედ და ზომად 9-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.**



# „ნაციონალური მოძრაობის“ შეხვედრაზე ხელჩართული დაპირისპირება იყო

**საგარეჯოში „ნაციონალური მოძრაობის“ შეხვედრას ადგილობრივ მოსახლეობასთან დაპირისპირება მოჰყვა. ადგილზე ვითარება ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდა და მთელი დღე დაძაბული რჩებოდა.ადგილზე ქვებს ისროდნენ. არსებული ინფორმაციით, ქვა მოხვდა ერთ-ერთ ჟურნალისტსაც, რომელმაც დაზიანებები მიიღო. „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები მომხდარში „ქართულ ოცნებას“ ადანაშაულებენ და ამბობენ, რომ მათ საჯარო სამსახურების წარმომადგენლები და სპეციალურად მობილიზებული ადამიანები უპირისპირდებიან. ადგილზე საპატრულო პოლიციის წარმომადგენლები მივიდნენ. დაძაბულ ვითარებაში ჩატარდა „ნაციონალური მოძრაობის“ შეხვედრა მოსახლეობასთან კასპშიც.**

# გია ხარჩილავას თანაგუნდელები ემუქრებიან



**წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერს გია ხარჩილავას კვლავ თანაგუნდელები უპირისპირდებიან და მას იმპიჩმენტით ემუქრებიან. მათი მტკიცებით, მერი დაკისრებულ მოვალეობას არ ასრულებს და თანამდებობას პირადი ინტერესებისთვის იყენებს. აქედან გამომდინარე, ხარჩილავას თანაგუნდელებს მიაჩნიათ, რომ მერმა თანამდებობა უნდა დატოვოს. ამ განცხადებებს წინ უძღოდა მერის გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც სოფელ ჯვრის წარმომადგენელი მერმა სამსახურიდან გაათავისუფლა.**



# მაქსიმ შევჩენკო: ზელენსკი უტიფრად მოქმედებს!

**„გარკვეულ ძალებს საბოლოოდ სურთ, ერთმანეთს გადაჰკიდონ მართლმადიდებლური ხალხები, რუსები, ქართველები, უკრაინელები, რომ მათ დახოცონ ერთმანეთი, რომ იომონ ერთმანეთთან“,** – ამის შესახებ ჟურნალისტი **მაქსიმ შევჩენკო** საკუთარ ვიდეომიმართვაში საუბრობს.

„უკრაინის ხელისუფლების მოთხოვნა, რომ საქართველომ სააკაშვილი უკრაინას გადასცეს და პრაქტიკულად ბრძანება, რომ საქართველოს ელჩმა დატოვოს უკრაინის ტერიტორია კონსულტაციებისთვის, წარმოადგენს შეურაცხმყოფელ უტიფარ გამოხატულებას მართლმადიდებლურ საქართველოსთან მიმართებაში.

თითქოს გარკვეულ ძალებს, საბოლოოდ სურთ ერთმანეთს გადაჰკიდონ მართლმადიდებლური ხალხები, რუსები, ქართველები, უკრაინელები, რომ მათ დახოცონ ერთმანეთი, რომ იომონ ერთმანეთთან. თითქოს ამ ძალებს სურთ, რომ რუსები ისევე ომობდნენ ქართველებთან, როგორც უკრაინელებთან. ამ ძალებმა რუსეთ უკრაინის ომიც არ იკმარეს და თითქოს ახლა საჭიროა, რომ მართლმადიდებლური უკრაინა და საქართველო ომობდეს ერთმანეთთან.

ბატონო ზელენსკი, ქართველებმა ძალიან დიდი რაოდენობით ლტოლვილები შეიფარეს, თანაც ისე, რომ მათ აქვთ აბსოლუტურად ყველანაირი შესაძლებლობა, იცხოვრონ და იმუშაონ საქართველოს ტერიტორიაზე თავისუფლად, ასევე აქვთ ყოველგვარი სამედიცინო და სოციალური მომსახურების პაკეტები სრულიად უფასოდ.

ასეთ დროს, ზელენსკი, რომელიც უკრაინის პრეზიდენტად იწოდება, ფიქრობს და მოქმედებს არა იმ უკრაინელების სასარგებლოდ, რომლებმაც ომის უბედურებისგან თავშესაფარი საქართველოში იპოვეს, არამედ ცდილობს, ზეწოლა მოახდინოს საქართველოზე, ოკეანის გაღმა მყოფი თავისი ბატონების დავალებით“!

## „ხალხის ძალა“:

# მხოლოდ მხარდაჭერა რა საკმარისია, ზელენსკის მეორე ფრონტი უნდა!



**გლობალური ომის პარტიისთვის საკმარისი არაა ის მხარდაჭერა, რომელსაც საქართველო უკრაინის მიმართ გამოხატავს. მათ სურთ ამაზე მეტი, რაშიც მხოლოდ მეორე ფრონტი შეიძლება, იგულისხმებოდეს და სწორედ ამ თემაზე საუბრობს ასე გულწრფელად ბატონი მაკფოლი,** – ამის შესახებ განცხადებას „ხალხის ძალა“ავრცელებს.

„ბვინდა, გამოვეხმაუროთ მაიკლ მაკფოლის მიერ „რადიო თავისუფლებისთვის“ მიცემულ ინტერვიუს, საიდანაც რამდენიმე ყურადსაღები პასაჟი ამოვიკითხეთ. პირველ რიგში, აშკარაა, რომ რადიკალურ ოპოზიციას და მის უფროსებს არ მოეწონათ ამერიკულ-ევროპული ტექნიკური ჯგუფის ვიზიტის შედეგები, რომელმაც დაადგინა, რომ საქართველო სანქციების გვერდის ავლის საშუალებას არავის აძლევს. ტექნიკურმა ჯგუფმა საქართველოში რამდენიმე დღე გაატარა და ეს დასკვნა ფაქტებისა და დოკუმენტების გადამოწმების საფუძველზე გამოიტანა, რის შემდეგაც ხელისუფლებას საგანგებო მადლობაც გადაუხადა. როგორც ჩანს, ამ შედეგით შეშფოთდა გლობალური ომის პარტია და საკუთარ აგენტურას მაკფოლის ინტერვიუ წააშველა, რომელმაც უაპელაციოდ, ყოველგვარი ფაქტებისა და დოკუმენტების გარეშე განაცხადა, სანქციების გვერდის ავლის მტკიცებულებები გვაქვს და მომავალში კონკრეტული კომპანიები და ადამიანები შეიძლება დავასანქციროთო. ამგვარი მტკიცებულებები მაკფოლს ტექნიკური ჯგუფისგან უნდა მიეღო, თუმცა ტექნიკურმა ჯგუფმა ვითარების სიღრმისეული შეფასებიდან სრულიად სხვა დასკვნა გამოიტანა, საიდანაც ჩანს, რომ მაკფოლის განცხადება რადიკალური ოპოზიციის მცირეოდენ გამაგრებას ისახავდა ერთადერთ მიზნად.

შეგვიძლია, პირდაპირი პარალელი გავავლოთ სანქციების შესახებ მაკფოლის განცხადებასა და ვლადიმირ ზელენსკის გუშინდელ გადაწყვეტილებას შორის. როგორც მაკფოლის განცხადებით სცადეს ტექნიკური ჯგუფის დასკვნების გადაფარვა, ზუსტად ასევე სცადეს იმავე ძალებმა ზელენსკის მიერ ჩვენი ელჩის გაძევებით სააკაშვილის შესახებ სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუფერულებაც.

გარდა ამისა, ზელენსკის გუშინდელი გადაწყვეტილება იყო არაჟნების კონტეინერის ჩავარდნილი სპეცოპერაციის გადაფარვის უსუსური მცდელობაც. ყველას გვახსოვს აღიარებითი ჩვენებები იმასთან დაკავშირებით, რომ კონტეინერში სააკაშვილის მოთავსებისა და საქართველოში გამოგზავნის სპეცოპერაცია დაგეგმა და აღასრულა უკრაინის ხელისუფლების მაღალჩინოსანმა, გია ლორთქიფანიძემ, რომელიც მოგვიანებით უკრაინის კონტრდაზვერვის სამსახურის უფროსის მოადგილედაც კი დააწინაურეს. აშკარაა, რომ სააკაშვილის თემის წინ წამოწევით უკრაინის ხელისუფლება მოშლილი ქართული რადიკალური ოპოზიციის გაცოცხლებას ცდილობს. სამწუხაროა, რომ ამ ყველაფრით ჩვენს ქვეყნებსა და ხალხებს შორის ისტორიული მეგობრობა ზიანდება. შესაბამისად, უკრაინის ხელისუფლების გადაწყვეტილება არა მხოლოდ ქართული სახელმწიფოს, არამედ ქართველი ხალხის მიმართ უპატივცემულობის გამოხატულებაცაა. საქართველოში მეორე ფრონტის მისაღწევად სააკაშვილის თემის გამოყენებით უკრაინის ხელისუფლება იმდენად არის დაინტერესებული, რომ არ გამოვრიცხავთ, ისინი სააკაშვილის ლიკვიდაციასაც კი განიხილავდნენ, რაზეც პირდაპირი მინიშნებები გუშინ დავით არახამიამ გააკეთა.

მაკფოლის ინტერვიუს რომ მივუბრუნდეთ, ჩვენი ქვეყნის წარსულსა და აწმყოზე ამ კაცმა განაცხადა, საქართველო ადრე იყო რეგიონის ლიდერი დემოკრატიული ქვეყანა, რომლისგანაც რეფორმებს ვსწავლობდით, ახლა კი აუტსაიდერი გახდაო. როგორც ჩანს, მაკფოლს აოცებდა სააკაშვილის ციხეები, ადამიანების წამება და გაუპატიურება, ქუჩაში დახვრეტილი ახალგაზრდები, ბიზნესის რეკეტი, ელიტური კორუფცია, ტელევიზიების მიტაცება და მრავალი სხვა „რეფორმა“, რომელიც სააკაშვილის რეჟიმმა თავის დროზე „გაატარა“.

შეიძლება, მაკფოლი ყველაზე მეტად 2008 წლის ომმა გააოცა, რომელსაც სააკაშვილი 2005 წლიდან მოყოლებული დიდი რუდუნებით ამწიფებდა: სააკაშვილმა ე.წ. სამხრეთ ოსეთის საზღვრები აღადგინა, ცხინვალის რეგიონში პარალელური სეპარატისტული არჩევნები ჩაატარა, კოდორის ხეობას ზემო აფხაზეთი უწოდა, ერთდროულად მილიტარიზაციით ტრაბახობდა და კეზერაშვილს ქართული ჯარი გააძარცვინა, კონსტიტუციური წყობილების აღდგენა დააანონსა და ბოლოს ხელი მოაწერა ევროსაბჭოს რეზოლუციას, რითაც 2008 წლის აგვისტოს ომის დაწყება თავის თავზე აიღო, ქართულ ჯარს კი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა დარღვევა დააბრალა. შეიძლება მაკფოლს ყველაზე მეტად სააკაშვილის ის დანაშაული მოსწონდა, რომელმაც საქართველოს ამხელა უბედურება დაატეხა თავს. მართალია, 2008 წლის ომმა ჩვენი ქვეყანა ყველაზე მეტად დააზარალა, მაგრამ ფაქტია, რომ ომმა რუსეთსაც უმძიმესი რეპუტაციული და ეკონომიკური ზიანი მიაყენა. იქნებ ამისთვის ემადლიერება და აქებს მაკფოლი სააკაშვილს, ანუ ესკალაციის დავალების პირნათლად შესრულებისთვის, რაზეც მოქმედი ხელისუფლება ასე ჯიუტად ამბობს დღეს უარს.

სინამდვილეში, მაკფოლის ეს განცხადება იმის კიდევ ერთი მტკიცებულებაა, რომ ზემოთ ჩამოთვლილ ყველა დანაშაულს, ესკალაციისა და რუსული სამხედრო აგრესიის პროვოცირების ჩათვლით, „ნაცმოძრაობა“ არა საკუთარი იმპროვიზაციით, არამედ მაკფოლის მეგობრების კარნახით ჩადიოდა. კიდევ ერთი და ყველაზე საინტერესო თემა, რასაც მაკფოლი შეეხო, რუსეთთან ესკალაცია და ამასთან დაკავშირებული საფრთხეები იყო. პრიგოჟინის აჯანყებაზე კომენტირებისას მაკფოლმა თქვა, დავინახეთ, რომ პუტინი არც ისეთი მაგარია, უკან დახევა და მოლაპარაკებაც შეუძლია და ესკალაციის შემთხვევაში, არათუ მოლაპარაკებაზე, კაპიტულაციაზეც კი შეიძლება წამოვიდესო. მაკფოლი ამბობს, ეს საინტერესო უნდა იყოს იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც უკრაინას ეხმარებიან, მაგრამ ესკალაციისგან დღემდე თავს იკავებენო. მეტიც, მაკფოლმა ამას მოწოდებაც კი მიაყოლა, ეს ქვეყნები ესკალაციას არ უნდა შეუშინდნენო. როდესაც ამ ყველაფერს ქართველ ჟურნალისტს ეუბნები, ცხადია, ვინ არის ამ მოწოდების ადრესატი და რა არის მისი მიზანი. ჩვენ დიდი ხანია ვამტკიცებთ, რომ გლობალური ომის პარტიისთვის საკმარისი არაა ის მხარდაჭერა, რომელსაც საქართველო უკრაინის მიმართ გამოხატავს. მათ სურთ ამაზე მეტი, რაშიც მხოლოდ მეორე ფრონტი შეიძლება იგულისხმებოდეს და სწორედ ამ თემაზე საუბრობს ასე გულწრფელად ბატონი მაკფოლი.

პრიგოჟინის თემაზე განცხადება გუშინწინ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემაც გააკეთა. თუმცა, მან მაინც ვერ გარისკა იმის დაკონკრეტება, ვის გულისხმობდა იმ ძალებში, რომელთა დავალებითაც რადიკალური ოპოზიცია, პრიგოჟინის აჯანყების ფონზე, საქართველოში მეორე ფრონტის გახსნაზე და აფხაზეთსა და ცხინვალში ტანკებით შესვლაზე საუბრობდა. ჩვენი მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობისთვის, ალბათ, უკვე ცხადია, რომ რადიკალური ოპოზიცია ამ შემთხვევაშიც მაკფოლის უფროსების კარნახით მოქმედებდა. ვინც ესკალაციისკენ გვიბიძგებს, მისი ერთადერთი მიზანია, საქართველოს განადგურების ხარჯზე რუსეთს პირველ ფრონტზე პოზიციები შეუსუსტოს. ამიტომ მაკფოლისა და მისი მეგობრების პროვოკაციულ მოწოდებებს არავითარ შემთხვევაში არ უნდა ავყვეთ და ხელისუფლებამ კვლავაც ის პოლიტიკა უნდა შეინარჩუნოს, რომლის წყალობითაც საქართველო დღემდე მშვიდობას ინარჩუნებს“!

# უკრაინა საცდელ პოლიგონადაა გადაქცეული



უკრაინის თავდაცვის მინისტრმა, **ოლექსი რეზნიკოვმა** The Financial Times-თან ინტერვიუში განაცხადა, რომ მსოფლიოო სამხედრო ინდუსტრიისთვის უკრაინაზე უკეთესი „საცდელი ადგილის“ გამოგონება შეუძლებელია.

**„კიევის დასავლელ მოკავშირეებს ნამდვილად შეუძლიათ დაინახონ, მუშაობს თუ არა მათი იარაღი, რამდენად ეფექტურად მუშაობს ისინი და საჭიროებს თუ არა განახლებას“,** – აღნიშნა უკრაინის თავდაცვის მინისტრმა.

რუსული რაკეტებისგან თავისი ცის დასაცავად, უკრაინამ მიიღო ამერიკულ-ნორვეგიული საჰაერო თავდაცვა Nasams-ი, ისევე როგორც გერმანიის ახლად განვითარებული Iris-T და ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ნატო-ს კლასის ყველა სხვადასხვა სისტემა ერთად გადის გამოცდას.

**„სისტემები ერთად მუშაობენ. მათთვის ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, ეს იცოდნენ“,** – თქვა ოლექსი რეზნიკოვმა ინტერვიუში.





# ბუნებისა და საზოგადოების სამსახურში მან დროს გაუსწრო

## არჩილ კიკნაძის გახსენება (1933-2023)

**2023 წლის 26 აგვისტოს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ბატონ არჩილ კიკნაძეს დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდებოდა. ძნელია, ბატონი არჩილის, როგორც მკვლევრის მოღვაწეობის ტრაფარეტულად დახასიათება. ბუნებრივი გარემოს დაცვის საქმეში, რაც დღეს განსაკუთრებით აქტუალურია, მას სრულიად გამორჩეული ხედვა ჰქონდა. იგი სამეცნიერო-პრაქტიკული ექსპერიმენტების ავტორი, მათი სულის ჩამდგმელი და უდიდესი ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება იყო. მისი მოღვაწეობა ბუნების და საზოგადოების სამსახურის სფეროში მართლაც განსაკუთრებულია, ხოლო დღეს, დროის გარკვეული მონაკვეთის გავლის შემდეგ, ეს შეფასება დაგვიანებულიც კი არის.**

ბატონმა არჩილმა 1956 წელს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი წარჩინებით დაამთავრა და ინჟინერ-გეოლოგის სპეციალობა მიიღო. 1961 წლიდან იგი მუშაობდა „კავტრანსპროექტში“, ხოლო 1970 წლიდან საქართველოს წყლის რესურსების სახელმწიფო კომიტეტში და გეოლოგიის სამმართველოში, სადაც შესანიშნავ გეოლოგებთან მუშაობამ მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა მისი მომავალი ბიოგრაფია. ბატონი არჩილი 1970-1978 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტში მუშაობდა. XX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს არჩილ კიკნაძე – ნიჭიერი ახალგაზრდა სპეციალისტი, ბუნებრივი წიაღისეულის შესასწავლად ხანგრძლივი დროით ავღანეთში იყო მივლინებული. იქ ჩატარებულმა სამუშაოებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მისი, როგორც მაღალკვალიფიციური გეოლოგ-პეტროგრაფის, ჩამოყალიბების საქმეში. იგი გამუდმებით აფართოებდა თავისი კვლევის სფეროსა და ცოდნის ჰორიზონტს. მისი ხელმძღვანელობით გეოლოგიურ სამმართველოში შესრულდა დიდი მოცულობის ფუნდამენტური სამუშაო, რომელიც ეხებოდა საქართველოს მდინარეების მიერ ზღვის ნაპირზე გამოზიდული მასალის პეტროგრაფიულ დახასიათებასა და შემდგომ ამ მასალის ნაპირგასწვრივი განაწილების თავისებურებებს. ა.კიკნაძის მიერ მომზადებულმა მრავალტომიანმა ანგარიშმა, ძალიან მაღალი შეფასება დაიმსახურა გეოლოგების მხრიდან და ფაქტობრივად საფუძველი ჩაუყარა გეოგრაფიული შინაარსის დარგში - ნაპირების დინამიკის, კერძოდ, საქართველოში ზღვის ნაპირების მორფოლოგიისა და დინამიკის კანონზომიერებების – უფრო ღრმად შესწავლას.

1969 წელს მოსკოვის უნივერსიტეტში არჩილ კიკნაძის მიერ სამეცნიერო სემინარზე წაკითხულ მოხსენებაში წარმოდგენილმა მასალებმა და კვლევის შედეგებმა, რომლებიც საქართველოს ნაპირების შესახებ უახლეს კვლევებს ეხებოდა, დიდი შთაბეჭდილება დატოვეს მსოფლიოში ცნობილ მეცნიერზე – ნაპირების ჩამოყალიბებისა და მათი ევოლუციის შესახებ ახალი მეცნიერების შემქმნელზე, პროფ. ვსევოლოდ ზენკოვიჩზე. ახალგაზრდა და სახელგამთქმულ მკვლევრებს შორის სწორედ იქ ჩაისახა ძალიან მჭიდრო მეცნიერული თანამშრომლობა ნაპირების მორფოდინამიკის დარგში, რაც შემდგომ საქართველოში ეფექტური ნაპირაღდგენითი ღონისძიებების გატარების საფუძველი გახდა.

მეოცე საუკუნის 60-იანი წლებიდან შავი ზღვის საქართველოს ნაპირებზე რთული გეოეკოლოგიური ვითარება ჩამოყალიბდა. ნაპირები ძლიერ წარეცხვას განიცდიდნენ, ზღვა ინტენსიურად იჭრებოდა ხმელეთში, ნადგურდებოდა ზღვისპირა ინფრასტრუქტურა და დიდად ზარალდებოდა ქვეყნის ეკონომიკა. აქედან გამომდინარე, აუცილებელი იყო საქართველოს შავი ზღვის ნაპირების ყოველმხრივი შესწავლა, რასაც სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა როგორც მეცნიერული, ისე პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისითაც.

XX საუკუნის 70-იან წლებში როგორც შესანიშნავი სპეციალისტი, არჩილ კიკნაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე ახალგაზრდა თაობისთვის თავისი ცოდნის გადასაცემად მიიწვიეს. მას მიჰყავდა ლექციების კურსი ზღვის ნაპირების დინამიკისა და მორფოლოგიის შესახებ. სტუდენტები დიდი ინტერესით უსმენდნენ მის ლექციებს, რაც სტუდენტებში ბუნების გულწრფელ სიყვარულსა და ნაპირების დინამიკის კვლევის ინტერესს აღვივებდა. მის მიერ წარმოდგენილი თეორიული მასალა კი ძალიან ეფექტურად იყო შეჯერებული საქართველოსა და მსოფლიოს სხვა რეგიონებში მიმდინარე სანაპირო პროცესების ამსახველ მაგალითებთან. ნიჭიერი სტუდენტები დამამთავრებელ კურსებზე ჩაებნენ საზღვაო-საველე კვლევით სამუშაოებში, რასაც ხელს უწყობდა შავი ზღვის სანაპიროზე (აჭარა და აფხაზეთი) ახლად დაფუძნებულ საველე-კვლევითი სტაციონარების დაარსება, რაც დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, მაგრამ ბატონი არჩილის არაორდინარულმა ორგანიზატორულმა და დიპლომატიურმა უნარმა ეს ურთულესი ამოცანაც წარმატებით გადაწყვიტა. ასეთ პირობებში ახალგაზრდები საკმაოდ სწრაფად ყალიბდებოდნენ მაღალი დონის პროფესიონალებად.

**1974 წელს, აკადემიკოს თეოფანე დავითაიას აქტიური მხარდაჭერითა და არჩილ კიკნაძის თაოსნობით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტში სანაპირო ზონის შემსწავლელი ლაბორატორია ჩამოყალიბდა, რომლის პირველი ხელმძღვანელი თავად ბატონი არჩილი იყო.**

როგორც უკვე ითქვა, ბატონი არჩილ კიკნაძე არაორდინარული პიროვნება შესანიშნავი ორგანიზატორი და გამჭრიახი გონების მქონე, უაღრესად მიზანდასახული და საქმის მიმართ სრულიად ერთგული პიროვნება გახლდათ. მასში თითქოს შეუთავსებელი თვისებები იყო გაერთიანებული – ერთი მხრივ იგი მკაცრი პრაგმატიკოსი, მეორე მხრივ კი ბუნების ფაქიზი მოტრფიალე გახლდათ. მისი მიზანი და ოცნება იყო მინიმალური ტექნოგენური ჩარევის ფონზე ბუნებრივი პროცესების რეანიმაცია და უკვე დაზიანებული ზღვისპირა რელიეფისთვის პირველადი მორფოლოგიური სახის მაქსიმალური აღდგენა.

XX საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევარში პროფესორი არჩილ კიკნაძე გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილედ დაინიშნა, რამაც მნიშვნელოვანი როლი ითმაშა საქართველოს შავი ზღვის ნაპირების შესწავლისა და შენარჩუნების საქმეში. ამ თანამდებობაზე ყოფნის დროს, სხვა მიმდინარე საკითხების გადაწყვეტასთან ერთად, იგი იყენებდა თავის ბუნებრივად ბოძებულ დიპლომატიურ ნიჭს და გადაწყვეტილების მიმღებ მაღალი თანამდებობის პირებს, მათთვის გასაგებად განუმარტავდა სანაპიროზე განვითარებულ რთულ პროცესებს, ხოლო მისი არგუმენტები საქმის ისეთი ცოდნით იყო მიწოდებული, რომ ნაპირების დაცვის საქმეში მისი ოპონენტები მას მხარს სიტყვითაც უჭერდნენ და საქმითაც. ბატონი ა. კიკნაძის მხარდამჭერთა შორის იყვნენ საბჭოთა კავშირისა და საქართველოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელები. აღსანიშნავია ამიერკავკასიის რკინიგზის და მისი სტრუქტურების მხარდაჭერა „საქნაპირდაცვის“ მთელი არსებობის განმავლობაში. ამ ორგანიზაციის მხრებზე გადაიარა, შავი ზღვის, აღმოსავლეთ სანაპიროს გარეცხვის მთელმა სიმძიმემ, ვინაიდან რკინიგზის ლიანდაგი ზღვის სანაპიროს გასწვრივ არის დაგებული.

**არსებობს საქართველოს მინისტრთა საბჭოს მიერ 1977 წელს გამოცემული ბრძანება „საქნაპირდაცვის“ შექმნის შესახებ. ბატონმა არჩილმა უარი განაცხადა ამ ბრძანების შესრულებაზე, იმ დრომდე ვიდრე ახალი ორგანიზაცია სრულად არ დაკომპლექტებოდა საზღვაო და სანაპირო სამუშაო მექანიზმებით. ამავე დროს გრძელდებოდა სანაპიროს ინტენსიური შესწავლა, რაც დაიწყო 1975 წელს ბათუმის სტაციონარული ექსპედიციის შექმნით. ნახევარი წლის შემდეგ ამას მოყვა გაგრის სტაციონარი, შემდეგ ფოთის, სოხუმის და ოჩამჩირის სტაციონარები. სტაციონარები იმყოფებოდნენ საქართველოს კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ინსტიტუტის „გიპროკომუნმშენის“ ბალანსზე. სტაციონარების სამეცნიერო სამუშაოებს ხელმძღვანელობას უწევდა ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი. სტაციონარებს ორივე დაწესებულება უზრუნველყოფდა, შესაძლებლობის ფარგლებში, საცხოვრებელი ფართით, საზღვაო და სანაპირო მექანიზმებით და სამუშაო ინსტრუმენტებით. ეს ყველაფერი შემდგომში გადაცემულ იქნა „საქნაპირდაცვის“ ბალანსზე. სტაციონარებმა უდიდესი როლი შეასრულეს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს შესწავლაში.**

მხოლოდ 1981 წელს ა.კიკნაძისა და მისი თანამოაზრეების დაუღალავი მეცადინეობით შეიქმნა სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქნაპირდაცვა“. მისი დაფუძნება იმ დროისათვის გაუგონარი პრეცედენტი იყო როგორც საბჭოთა სივრცეში, ისე მთელ მსოფლიოში. ს/ს გაერთიანება: „საქნაპირდაცვა“ ერთდროულად ითავსებდა მეცნიერულ კვლევას, დაპროექტებასა და სანაპირო ზოლის აღდგენის ღონისძიებათა დამოუკიდებლად გატარებას. აქედან გამომდინარე, ნაპირების ტალღებით დაზიანების შემთხვევაში, დამნაშავე მხოლოდ სსგ „საქნაპირდაცვა“იქნებოდა. საქართველოს ზღვის ნაპირებზე, მდინარეების მიერ გამოტანილი, ნაშალი მასალა შტორმული ტალღებით გადაადგილდება სანაპიროს გასწვრივ. იგივე ტალღების შექმნილია დღეს არსებული ყველა პლაჟი.

საუკუნეების განმავლობაში, ყველაზე დიდი, შტორმული ტალღები ქმნიდნენ მაღალი ნაპირგასწვრივი ზვინულების გენერაციებს, განიერ პლაჟებს და ამით საიმედოდ იცავდნენ ნაპირებს წარეცხვისგან. უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში, საპორტო და საკურორტო ნაგებობების მშენებლობების გამო ხდებოდა მდინარეთა მიერ გამოტანილი მასალის დიდი რაოდენობით, მოპოვება, მდინარეთა კალაპოტებიდან და უშუალოდ პლაჟებიდან. ზღვის სანაპიროზე დაიწყო ინტენსიური წარეცხვები. სწორედ ამ წარეცხვების აღსაკვეთად შეიქმნა საკანონდებლო ბაზა. ამით აღკვეთილ იქნა მასალის მოპოვება პლაჟებიდან და მდინარეთა შესართავებიდან. დაიწყო ბუნებრივი სანაპირო პროცესების აღდგენა. სადაც ეს შეუძლებელი იყო, ხდებოდა მასალის ხელოვნურად მიწოდება პლაჟებზე. შედეგად „საქნაპირდაცვის“ არსებობის პერიოდში არ ყოფილა ტალღებით ნაპირის დაზიანების არცერთი შემთხვევა. ს/ს გაერთიანება **„საქნაპირდაცვის“ დაფუძნებას იმ ფაქტორმა შეუწყო ხელი, რომ მასში გაერთიანდნენ ძალიან მაღალი კვალიფიკაციის მქონე მკვლევარები. საყოველთაოდ იყო ცნობილი პროფესორების ზენკოვიჩისა და კიკნაძის მოწაფეების ნაპირების შემსწავლელი სკოლა, რომელსაც მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი პოზიცია ჰქონდა. ა. კიკნაძესთან ერთად, „საქნაპირდაცვის“ დამაარსებელთა შორის იყვნენ ისეთი შესანიშნავი მეცნიერები, როგორებიც არიან ვ.საყვარელიძე, ბ.მელაძე, შ. ჯაოშვილი, ჭ. ჯანელიძე და დ. მატკავა.**

ჯერ კიდევ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების შექმნამდე გარემოს დაცვის საქმეში საქმის ცოდნით მიდგომით, ა. კიკნაძის ხელმძღვანელობით, მანამდე შესრულებულ დიდი მოცულობის გეოლოგიურ-პეტროგრაფიულ კვლევებთან ერთად, ახალგაზრდა სპეციალისტების მიერ სკრუპულოზური დეტალურობით შესრულდა ძალიან დიდი მოცულობის უნიკალური საზღვაო-გეომორფოლოგიური შინაარსის სამუშაოები, აიგეგმა წყალქვეშა და წყალზედა რელიეფი, გამოაშკარავდა მისი ცვლილების ციკლები და გაანალიზდა გადაადგილებული მყარი მასალის რაოდენობა. ამგვარად, სპეციალისტებს უკვე მოპოვებული ჰქონდათ ზღვის სანაპირო ზონის დინამიკისა და მორფოლოგიის ძირითადი მახასიათებლები და ამ მასალაზე დაყრდნობით წარმატებით შეეძლოთ ნაპირის აღდგენითი სამუშაოების დაგეგმა. 1981 წელსვე სამთავრობო დონეზე გადაწყდა გაგრის ავარიული პლაჟის აღდგენითი ღონისძიებების წარმატებული და მეტად შთამბეჭდავი წარდგენა. 1985 წელს დამტკიცდა პირველი „სანაპიროს დაცვის გენერალური გეგმა“ და დაიწყო „საქნაპირდაცვის“ მოღვაწეობის ახალი ერა. აღსანიშნავია, რომ „საქნაპირდაცვის“ შეკვეთით გადაღებული იქნა 5 დოკუმენტური ფილმი, რომლებიც განკუთვნილი იყო სატელევიზიო ჩვენებისთვის. ამ ფილმებში დეტალურად იყო ახსნილი სანაპიროს წარეცხვის მიზეზები და სანაპიროს რეაბილიტაციის გზები. განსაკუთრებით ეფექტური გამოდგა ფილმი, რომელიც განკუთვნილი იყო საკურორტო კინოთეატრებში აუცილებელი ჩვენებისთვის, კინოჟურნალის მაგივრად. სულ მოკლე ხანში, ადგილობრივმა მოსახლეობამ, საკმაოდ პროფესიულად, დაიწყო მსჯელობა სანაპიროს დაცვის პრობლემებზე.

ნაპირდაცვის კვლევის მიმართულებით არჩილ კიკნაძის აღზრდილი ქართველი სპეციალისტები სხვა ქვეყნებში კონსულტაციებს ატარებდნენ კუბასა და ბულგარეთში „საქნაპირდაცვის“ მიერ ჩატარებული კვლევითი და პრაქტიკული სამუშაოების შედეგები გამოქვეყნებულია რეიტინგულ სამეცნიერო გამოცემებში.

**ა.კიკნაძემ ფაქტობრივად გაუსწრო დროს, რადგან მან ადრევე განსაზღვრა, რომ „საქნაპირდაცვისთვის“ შემუშავებული პრინციპები მომავალში, მაგალითი გახდებოდა სხვა ბუნების დამცავი ორგანიზაციების საქმიანობისთვის. ნაპირების დაცვის მიმართულებით შემდგომ წლებში მომხდარი არახელსაყრელი ინსტიტუციური ცვლილებების მიუხედავად, ის სპეციალისტები რომლებიც მთელი შეგნებული ცხოვრების განმავლობაში ნაპირების დაცვას ემსახურებოდნენ, დღესაც ერთგულად აგრძელებენ თავიანთ საქმიანობას. თუმცა უკვე სხვადასხვა ორგანიზაციებში.**

**მეოცე საუკუნის ბოლოდან წარმოქმნილი სერიოზული სირთულეების მიუხედავად, ბატონი არჩილ კიკნაძისა და მისი მოწაფეების დაწყებული საქმე დღესაც გრძელდება. ბატონი არჩილის მიერ სსგ „საქნაპირდაცვის“ დაარსების ისტორია, დღევანდელი გადასახედიდან, უფრო ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება, ბატონი არჩილი კი ბუნებისა და ქვეყნის ერთგულების მაგალითად რჩება.**

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია,**

**თსუ-ს ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი.**




# უვიცების დოღი დეგენერატების არენაზე

**ამას წინათ ერთმა კერძო სამხედრო კომპანიის საჯარისო კორპუსმა ე. წ. ამბოხი რომ მოაწყო, ამ კორპუსის მეთაურმა ეს ამბოხებული კორპუსი სრული საბრძოლო წესრიგით მოსკოვისკენ დასძრა! რაც სულელი „ექსპერტი“ იყო საქართველოში, ყველანი გარეთ (ანუ ტელევიზიებსა და სოციალურ ქსელებში) გამოცვივდნენ და „ბრძნული“ პროგნოზები და წინასწარი დასკვნები გამოფინეს, სულელები კი ქუჩებს მოედვნენ ჟივილ-ხივილით: რუსეთი განადგურდა, დაიშალა და მისი პრეზიდენტი და მთავრობა ტაიგის ტყეებში იმალებიანო!**

**ერთი ნამეტნავად სულელი (ანუ გიჟი), გახარებული ყვიროდა „გოუ, ჟენია, გოუ!“ (ანუ ქართულად თუ მოვთარგმნით: მიდი, ჟენია, მიდიო). ამის შემყურეს ერთი ძველი იგავი გამახსენდა: ერთი ახალგაზრდა კურდღელი ტყის ბილიკზე მორბოდა და იძახდა: „გაიხარეთ; ძმებო, ტყეში მკვდარი მგელი ვნახეო. ბილიკზე მოხუცი კურდღელი შემოხვდა, გააჩერა და უთხრა, რა გიხარია, შე სულელო, ერთი მკვდარი მგელი გინახავს, განა სამგელეთი ამოწყდაო.**

**იმ სულელ კურდღელს, სხვათა შორის, სახითაც ძალიან ჰგავდა ის ტიპი, რომელიც გაჰკიოდა, „გოუ, ჟენია, გოუ!“-ო.**

**ამ სულელების პრეზიდენტმა სასწრაფოდ რაღაც საგჯო მოიწვია და არიქა, ქვეყანაში შემოსასვლელი კარები ჩაკეტეთ, იმ ამბოხებულმა ჟენიამ აქეთ არ გადმოუხვიოსო...**

**გატონ ელიზგარ ჯაველიძისა არ იყოს, მართლაც, რომ „ავაჰმე, ჩემო მამულო!“.**

არ არის ძნელი იმ მიზეზის მიგნება, რამაც, სულ რაღაც სამი ათეული წლის წინ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე განათლებული ხალხის დიდი ნაწილი სრულ გამოთაყვანებამდე მიიყვანა. უვიცი და სულელი ხალხი ყველგან არის, შეიძლება, უმრავლესობაც იყოს ასეთი, მაგრამ ნორმალურ და თავმოყვარე სახელმწიფოებში ისინი მთავრობასა და პარლამენტში არ სხედან და არც მუდმივად ტელევიზიის ეკრანებზე არ არიან გამოფენილები ექსპერტებისა თუ პოლიტიკოსების მანტიამოსხმულები. ჩვენ რა ღმერთი გაგვიწყრა ისე, რომ მთელი „პოლიტელიტა“ თითქმის მთლიანად ისეთი ხალხისგან არის დაკომპლექტებული, ვინც მხოლოდ ჭამა და სმა იცის პროფესიულად: **„ვაი, ჩვენს პატრონს, ჩვენი ყოფის თავი და ბოლო, ჭამა და საჭმლის მონელება თუ არის მხოლოდ“ (მ. მაჭავარიანი).**

ხელისუფლებაში ყოფნა მხოლოდ ამიტომ უნდათ, თორემ მეტი საფიქრალი და საზრუნავი არც არაფერი აქვთ, ან რა უნდა ქნან, პოლიტიკისა და დიპლომატიის ანბანი არ იციან, ეკონომიკაზე წარმოდგენა არა აქვთ, ისტორია არ უსწავლიათ და გეოგრაფია, რომ სწორი ორიენტაცია მისცენ ქვეყანას, მტერსა და მოყვარეს ერთმანეთისგან ვერ არჩევენ და რა ქნან, აბა, ჭამა იციან და რაც იციან, იმას აკეთებენ.

აბობოქრებულ ოკეანეში ნავიგაციის უცოდინარი კაპიტანი და ბოცმანი, მესაჭე და შპიკერი როგორ მოახერხებს სწორი ორიენტაციის განსაზღვრას? ისე, როგორც აჯანყებულმა მონებმა განსაზღვრეს გემის კურსი, მათი ბელადის ტამანგოს მეთაურობით.

არა, ქვეყნის ორიენტაცია როგორ უნდა განსაზღვრონ იმათ, ვისაც პედერასტობა და პედოფილია ორიენტაცია ჰგონია და არა ცოდვა და დანაშაული.

აი, ისევ იმ სიგიჟეს მივუბრუნდეთ, რითაც დავიწყე ეს წერილი და მინდა, მარტივი კითხვა დავუსვა ჩვენს შტერ ექსპერტებსა და პოლიტიკოსებს, რომლებიც ისე გახარებულები იყვნენ რუსეთში ერთი სამხედრო დაჯგუფების ამბოხის მცდელობით, თითქოს დიდი ხნის ნანატრი ვაჟიშვილი შესძენოდეთ. მათი სრული უვიცობისა და უზნეობის მიუხედავად, ამ უმარტივეს კითხვაზე პასუხი არ უნდა გაუჭირდეთ.

რუსეთის ხელისუფლებას ერთი მებრძოლი გენერალი თუ აუმხედრდა, თქვენ რა გიხარიათ, ნეტავი? რუსეთის აწინდელ ხელისუფლებას თუ დაამხობდა ჟენია, მერე აფხაზეთსა და სამაჩაბლოს დაუბრუნებდა, „გოუ“, „გოუს“ რომ ბღაოდა?! ანდა, რუსეთი თუ სამოქალაქო ომში გაეხვეოდა, აქაური ლგბტ აქტივისტი ქათმები დროს იხელთებდნენ და აფხაზეთსა და სამაჩაბლოს დაიბრუნებდნენ? ან უფრო მეტიც, როგორც ალტინფოს ექსპერტმა აღნიშნა, ტუაფსემდე გადავწევდით საქართველოს საზღვრებს, რასაც მერე (მოკლე ხანში!), ისე როგორც 1921 წელს მოხდა, რუსეთის ჯარი თბილისში შემოვიდოდა!

**ჰოდა, რატომ აჰყვა ამ სულელი „პროგნოზისტ-ექსპერტებისა“ და ციხიდან ახლადგამოსული „მედია მენეჯერის ბრძნულ წინასწარმეტყველებას“ ახალგაზრდობის (ძველიგაზრდობისაც) ნაწილი? იმიტომ, რომ სკოლა ელემენტარულ ცოდნასაც ვეღარ აძლევს მოზარდებს; სამწუხაროდ, სკოლამ კარგა ხნის დაკარგულ აღმზრდელობით ფუნქციასთან ერთად, საგანმანათლებლო ფუნქციაც დაკარგა.**

**აბა, მაშ, სულ ტყუილად გვქონია განათლების სამინისტრო და ასევე ტყუილად გვყოლია ასეთი დიდგვაროვანი მინისტრიო, იტყვის გაწბილებული და იმედგაცრუებული მკითხველი. არა, ჩემო კეთილო მკითხველო, ტყუილად არცერთი გვაქვს და არც მეორე გვყავს. მომავალი თაობის გამოლაყებას ემსახურება ორივე. ტყუილად კი არ წასულა ახლადდანიშნული განათლების მინისტრი ბრიუსელში. იქ რაღაც საშინაო დავალებებს მისცემდნენ ევროპელი „ბრძენკაცები“, როგორც ის ავადცნობილი 12-პუნქტიანი დავალება მისცეს ჩვენს ხელისუფლებას, რომლის შინაარსი არც არავინ იცის საქართველოში და არც არავის აინტერესებს. ბრიუსელსა თუ ნებისმიერ სხვა უსელში ჩვენთვის სასიკეთო დავალებას არავინ მოგვცემს. ამ ჩვენს ე.წ. განათლების მინისტრს საქართველოს განათლების სისტემის წინაში მდგომი პრობლემები რომ აინტერესებდეს, ბრიუსელში კი არ გაიქცეოდა, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიაში, დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის კვლევით ინსტიტუტში მივიდოდა და იმასაც იკითხავდა, პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი სად არის და რასა იქმს, სადაც ამ სამი ათეული წლის წინ მთელი მსოფლიოდან მოდიოდნენ განათლების პრობლემებით დაინტერესებული მეცნიერები, შალვა ამონაშვილს მოინახულებდა ბუშეტში... მაგრამ არა! მას ისე აწუხებს ქართული განათლების მდგომარეობა და ბედი, როგორც ცხონებულ ბებიაჩემ ოლღას აწუხებდა მანჯურიაში პამიდვრის მოსავლის პერსპექტივები.**

ახლა რასაც ვიტყვი, შეიძლება, არ დაიჯეროს ვინმემ, მაგრამ ფაქტია და რა ვქნა? თუმცა, ერთ ნაციხარ მედიამენეჯერს რომ ჰკითხო, მთავარი ფაქტები კი არა, აღქმებია თურმე! დაეჯერება ამ სირს **(ანუ ჩიტს, ძვ. ქარ.)**, რადგან პირდაპირ ეკრანიდან რომ აგინებს და უშვერი სიტყვებით ლანძღავს ყველა მისთვის არასასურველ ადამიანს, მათ შორის საქართველოს ახლანდელ პრეზიდენტს, საზოგადოება ამას, თურმე, მის უაღრესად ზრდილობიან და კულტურულ საქციელად აღიქვამს, შეიძლება ასეც არის, აბა, ტყუილად ხომ არ შეიწყალებდა ამ ქათამს პ(რ)ეზიდენტი სალომე!

ფაქტი კი ასეთია: მიმდინარე წლის 22 ივნისს ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ და გაწონასწორებულ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა ღია წერილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისადმი. ამ წერილში მინისტრის პოსტზე დიდი ქართული რაინდული გვარის მატარებელი გიორგი ამილახვარის დანიშვნასთან დაკავშირებული მილოცვისა და განათლების დარგის წინაშე მდგომი პრობლემების დაძლევაში წარმატებების მიღწევის სურვილის გარდა, გამოთქმული იყო წუხილი იმის გამო, რომ სკოლას კარგა ხანია აღარ აქვს აღზრდის სისტემა, რისი სავალალო შედეგები ყველა მოაზროვნე ადამიანისთვის სრულიად აშკარაა. ამასთან, წერილის ავტორი მინისტრს მოუწოდებდა, გამოეჩინა ინიციატივა ლგბტ პროპაგანდის ამკრძალავი კანონის მიღებასთან დაკავშირებით, რაც საქართველოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის ყველაზე აქტუალური სადღეისო მოთხოვნაა და ამით, ახალგაზრდობის გადაგვარების მოსურნეთათვის ლახვარი ჩაეცა. მერე რა? ერთი კვირის თავზე გაირკვა, რომ მინისტრს ამის თაობაზე არც არაფერ სმენია, მინისტრს, ალბათ, თანაშემწეები ჰყავს და განა მათ არ ევალებათ პრესაში გამოქვეყნებულ საყურადღებო საკითხებზე ინფორმაცია მიაწოდონ მინისტრს? ან მის მრჩეველს მაინც? თუ მინისტრისადმი გამოქვყნებული ღია წერილი მინისტრისათვის საყურადღებო არ არის? ყოფილმა პრეზიდენტმა (ახლა ვივამედის პრესტიჟულმა პატიმარმა, პრეზიდენტის პოსტზე ყოფნისას საჯაროდ განაცხადა, მე ქართულ პრესას არ ვკითხულობ!!! ამ განწყობაზე ხომ არ არიან ზოგიერთი ჩინოსნები დღესაც?

ზუსტად არ ვიცი! მე ის ვიცი, რომ უვიცების დოღი დეგენერატების არენაზე დიდწილად სწორედ იმ უკონცეფციო და უსისტემო სწავლა-აღზრდის შედეგია, რაც ჩვენში დამკვიდრდა ამ სამი ათეული წლის წინ და თანდათან მყარი ხდება ჩვენი სიგლახისა და უნიათობის გამო. თანაც, საქმე იმიტომ უფროა ცუდად, რომ ცუდად როა,არ იცის ბევრმა“ (მ. მაჭავარიანი).

**კი, ვხედავ ნამდვილად, რომ ხელისუფლება შეწუხებულია ამით. ეს, აგერ ახლახან, ნათლად გამოჩნდა პარლამენტის სესიაზე პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის გამოსვლაში. ერთ რამეში ვერ დავეთანხმები ბატონ პრემიერ-მინისტრს. ჩვენი ყველაზე აქტუალური და უმნიშვნელოვანესი ამოცანა არის მშვიდობიანი გზით სეპარატისტული ტერიტორიების დაბრუნება!**

**არა! უპირველესი ამოცანა, ბატონო პრემიერო, არის საქართველოს ზნეობრივი გადარჩენა, იმ ისტორიული ტრადიციებისა და ღირებულებების დაცვა, რაც დიდ პატივისცემას იწვევდა ჩვენს ახლო, თუ შორეულ მეზობლებში. კავკასიაში ქართველები ყოველთვის დიდი პატივისცემას იმსახურებენ. მშვიდობიანად აფხაზები და ოსები იმ სახელმწიფოში დაბრუნდებიან, სადაც პედერასტების, ლესბოსელებისა და ტრანსგენდერების აღლუმები შეიძლება იმართებოდეს, ან კიდევ უარესი, ლგბტ ფესტივალები იმართებოდეს ბავშვების მონაწილეობით?! ძალით თუ აპირებს ვინმე, იმ უვიცმა და სულელმა უნდა იცოდეს, სეპარატისტული რეგიონების უკან ისეთი ძალები დგანან, რომლებსაც შარვალჩახდილი ავადმყოფები და საყურეებიან-ბანტიანი ბიჭები „უპრაგონოდ“ ბუზსაც ვერ აუფრენენ.**

ღირსეულ, თავმოყვარე, თავისთავისა და სხვის პატივისმცემელ ხალხთან ყველა ღირსეული ხალხი ისურვებს მეგობრობასა და ძმობას!

აი, ეს არის მთავარი, ეს კი, თუ არ ასწავლე მომავალ თაობას, ღირსება და კაი კაცობა დედის მუცლიდან კი არ დაჰყოლია ვინმეს. ამიტომ, უპირველესი ამოცანა დღეს არის ის, რომ სკოლა ზრდიდეს ეროვნული ღირებულებების ერთგულ პატრიოტებს, რომლებიც თვითონ კი არ ირჩევენ, ვის უერთგულონ და შესწირონ თავი, არამედ იმ არჩევანს აკეთებდნენ, რაც მისი წინაპრების უთვალავმა თაობებმა გააკეთეს.

„სამშობლო, როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა!“ ეს სიბრძნეა, სიბრძნე. ეს რომ გაიგო, შენი სამშობლო უნდა იცოდე, რა მიწა-წყალს, რა ენას და რა სარწმუნოებას ჰქვია და უნდა გწამდეს უფალი. სხვაგვარად შენი შინამე, ხან ევროპაში გეგონება და ხან აფრიკაში და ბღავილით აიკლებ ქვეყანას. შინ ევროპაში, თუ შინ ამერიკაში მინდა, დაბრუნებაო!

უგნური თაგვის ამბავი გაგიგონიათ, ალბათ: „ერთმა უგნურმა თაგუნამ“, თაგვობა რომ იუკადრისა. ჰოდა რატომ იყო ის თაგვი უგნური, იცით? იმიტომ კი არა, თაგვობა რომ იუკადრისა, არამედ იმიტომ, რომ იმად გადაქცევა მოინდომა, რომელიც არ იყო. რაც დაემართა, თუ არ იცის ვინმემ, იკითხოს და გაიგებს!

**ხელისუფლებას ვურჩევ, აკრძალოს (აღკვეთოს) უვიცების დოღი და დაშალოს სულელების არენა, ყველაფერს უწოდოს თავისი სახელი ისე, როგორც პარლამენტში გამოსვლისას პრემიერ-მინისტრმა უწოდა ოპოზიციას, მერე კი თითოეულს მოექცეს ისე, როგორც იმ ნამდვილი სახელების მატარებლები იმსახურებენ!**



**პატივისცემით,**

**ზურაბ ცუცქირიძე,**

**პედაგოგიკის დოქტორი, განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ღირსების ორდენის კავალერი.**

**ტელ: 555 56-75-37**



## „ჭურში მჯდომი“ გურულის სადღეისო ამოძახილი ჭურიდან...



# ...ამან ნიანგზე იქორწინა, იმან კატა შეირთო ცოლად!







**ვიღაცას სამხრეთ ამერიკაში ნიანგზე უქორწინია. ორიოდე თვის წინ ლაპარაკობდნენ, ვიღაცამ თავისი კატა შეირთო ცოლადო, ერთი უფრო შორს წავიდა და თავის ძაღლს დაუკავშირა ბედი. კაცმა რომ თქვას, რა უჭირს მერე, დემოკრატიაა და ვისაც რა უნდა, იმას გააკეთებს, მაგრამ ყველამ კარგად ვიცით, ყოველი ავადმყოფური სიმპტომი უფრო ღრმა დაავადების წინაპირობა და ორგანიზმის დაღუპვის მიმანიშნებელია.**

**მე არ ვიტყვი, რომ ეს არის მეორედ მოსვლა ანდა მესამე მსოფლიო ომი, არც წმინდა პოლიტიკური თვალსაზრისით, არც რელიგიური, მაგრამ ეს არის ომი მსოფლიოში მსოფლიოს წინააღმდეგ...**

**ომია აბა, რა ჯანდაბაა, კაცები კაცებს კოცნიან და ქალები ქალებზე ქორწინდებიან.**

**ფიზიკურად ცოცხლები არიან, მაგრამ სულიერად მკვდრები.**

**ომის ახალი სახეობა მგონია ეს.**

**აქამდე ვიცოდი, ადამიანი ფიზიკური სხეულისგან და სულისგან შედგებოდა და თუ რამე ახალია, სული არ არსებობს და მარტო სხეული გაგვაჩნია, ასე თუ არის, მაშინ გადატრიალება მომხდარა ჩვენს აზროვნებაში და მე, როგორც გურიაში იტყვიან, „ჭურში მძინებია“.**

თემურ ჭყონიას ბიზნესში ახლახან ლგბტ პროპაგანდისტულმა ლიტერატურამ რომ შეაღწია, რა თქმა უნდა, სპეციალურად იყო ეს გაკეთებული, სკოლებშიც ნელ-ნელა აპარებენ სქესობრივი „განათლების“ დანერგვას საქართველოს ისტორიისა და ღმერთის რწმენის განდევნის ხარჯზე, მაგრამ ეს სხვა საკითხია და ამაზე სხვა დროს ვილაპარაკოთ.

ეს ე.წ. „პრაიდია“ თუ რაც არის, სულაც არ არის ისეთი უწყინარი, როგორც წარმოაჩენენ ზოგიერთი უცოდინარი, ზოგიერთი უკაცრავად და, უტვინო, ზოგიერთი გულარხეინი და ზოგიერთი თავად ბოროტი, რომელსაც ვერ წარმოუდგენია, რომ მასაც შეიძლება მიაკითხოს ლგბტ განკითხვამ და მათი ოჯახის წევრებიც შეიძლება აავნესოს ამ საშინელი ცოდვის და უკუღმართობის ავადმყოფობამ.

ვიღაცას სამხრეთ ამერიკაში ნიანგზე უქორწინია.

ორიოდე თვის წინ ლაპარაკობდნენ, ვიღაცამ თავისი კატა შეირთო ცოლადო, ერთი უფრო შორს წავიდა და თავის ძაღს დაუკავშირა ბედი.

კაცმა რომ თქვას, რა უჭირს მერე, დემოკრატიაა და ვისაც რა უნდა, იმას გააკეთებს, მაგრამ ყველამ კარგად ვიცით, ყოველი ავადმყოფური სიმპტომი უფრო ღრმა დაავადების წინაპირობა და ორგანიზმის დაღუპვის მიმანიშნებელია.

**ახლა თბილისში და საქართველოს სხვა ქალაქებში ლგბტქ „პრაიდს“ აპირებენ. იმ საქართველოში, რომელმაც საუკუნეების ქარტეხილებს გაუძლო, ბევრი მტერი მოიგერია ხმლით, ტყვიით, ქართულ მიწაში ჩაიღვენთა ჩვენი კაცების სისხლი და ძვალი, მტერი გვიხოცავდა ქალებს, ორსულებს მუცელს უფატრავდა.**

**დღეს ხმლით არ გვიტევენ, მაგრამ კაცებს ადედლებენ, ქალებს უფუნქციოდ ტოვებენ, რადგან არც ლესბოსელობით ჩნდება შთამომავალი და არც მამათმავლობით და ამოწყვეტილ ქვეყანაში ასაკოვანი მამათმავლები ივლიან თუ ტურა და მგელი, რაღა აზრი აქვს!**

ბოლო ხანებში განსაკუთრებით მოეძალა ინტერნეტსივრცეს სუროგაციადონაციის ორგანიზებული კამპანია, ყველა ფეხისნაბიჯზე ჩანს რეკლამა – გსურთ სუროგატი დედები, დარეკეთ ამა და ამ ნომერზე. ასე რომ, სავარაუდოდ, იარსებებს რამდენიმე ათეული ქალბატონი, რომლებიც, მოთხოვნილების შესაბამისად, იქნებიან ახალშობილების გაჩენის მინი-საამქროები, ანუ ე.წ. „ბავშვთა ქარხნები“, სადაც სპეციალურად გამოყვანილ კვერცხუჯრედს ჩაუსახლებენ შეკვეთილ თაობათა მწარმოებელ ორგანიზმებს, რომლებსაც დედობრივი არაფერი ექნებათ, გამობერილი მუცლის გარდა... პრინციპში, ყველაფერი დროის საკითხია, შეიძლება ეს სუროგატი ე.წ. დედებიც აღარ დასჭირდეთ და სპეციალურმა აპარატურამ „შვას“ სპეციალურად გამოყვანილი ადამიანისმაგვარი არსებები.

ოჯახი არის ცნობიერების სოციალური უჯრედი, პატარა მიკროსახელმწიფო, მის სიმყარეზეა დამოკიდებული თვით სახელმწიფოს და ქვეყნების ძლიერება. ასე რომ არ იყოს, ქაოსი მოიცავს ყველაფერს, რადგან მხოლოდ სქესობრივი სიამოვნებისთვის ქალი ხან სხვაგან დაიდებს ბინას, ხან სხვაგან, კაციც გუგულივით ხან სად დაიბანაკებს და ხან – სად. აღარ იქნება ნდობა და საბოლოოდ მოკვდება სიყვარული, რომელიც ღვთისგანაა. ღმერთი ხომ მხოლოდ სიყვარულია!

აი, ეს არის ცნობიერების მენტალური ომი, ფსიქოლოგიური ომი და გადაულახავი უბედურება, რომელიც დედამიწას ემუქრება.

ამასობაში ნატურალები, ტრადიციული სექსუალური ორიენტაციის ქართველი მამაკაცები ბობოქრობენ – არ დავუშვებთ საქართველოში ლგბტქ პრაიდს და აქ ცუდი ამბები დატრიალდებაო.

ახლა საქართველოს ეს ბრძოლა უდგას და ეს წინააღმდეგობა, სამწუხაროდ, არა მხოლოდ ქართველების, არამედ, როგორც ვთქვი, მსოფლიოს ადამიანების წინააღმდეგ მიმდინარე ომია, რომელიც ვიღაცის უხილავმა ხელმა მოახვია დედამიწას ცივილიზაციის, კულტურის, კაცობრიობის წინააღმდეგ, მის მოსასპობად და გასანადგურებლად.

არ ვიცი, ამას ხვდება თუ არა ჩვენი ლიბერალური მედია და საზოგადოების ნაწილი, მაგრამ ფაქტია, რომ ამ საშინელ წინააღმდეგობაში ჩართულია ყველა მათგანი თვითგადარჩენისთვის მებრძოლი ქართველების და მსოფლიოს გონიერი ადამიანების საპირისპიროდ.

ლგბტქ+ ორიენტაციის არსებათა რიცხვი კი წლითიწლობით მრავლდება და ერთი წუთით წარმოიდგინეთ, მოსახლეობის უმეტესობა რომ ლგბტქ ადამიანები გახდნენ და მათ მართონ მსოფლიო, რა შეიძლება მოხდეს.

**ჭორები დადის და მე არ მინდა ჭორი გავიმეორო, მაგრამ საფრანგეთის პრეზიდენტზეც ეჭვობენ სექსუალურად გადაგვარებულიაო, ინგლისის პრემიერზეც და უკრაინის გმირ ლიდერზეც, რომის ეკლესიის მესვეურებზეც და მსოფლიოს სხვა ცნობილ ადამიანებზეც და ეს მკვეთრად სიმპტომატურია.**

ლიბერალები მეტყვიან, სიტყვა გადაგვარებული ახსენე და რატომ არიან გადაგვარებული, ზოგს „იქ უნდა“, ზოგს – სხვაგან, ზოგს უკანალი ექავება, ზოგს სხვა რამე, რა არის ამაში ტრაგედიაო. საქმე ის არის, რომ ადამიანის ანატომიის ყველა ორგანო გაჩენილია თავისი ფუნქციით – კუჭი მონელებისთვის, გული სისხლის მისაწოდებლად, ტვინი აზროვნებისთვის, სასქესო ორგანო გამრავლებისთვის (რადგან ადამიანი სამყაროს მთავარი მშვენებაა), სწორი ნაწლავი კი გადამუშავებული საკვების ორგანიზმიდან გამოსადევნად. ადამიანის, ამ სამყაროს გვირგვინის არსებობას დასცინიან ვიღაცები, ამ წესრიგის მოშლა უნდათ, ოღონდ ვის, ამას სახელი თქვენ დაარქვით, ერთი კი ცხადია, ეს არ შეიძლება იყოს ის, ვისაც საკუთრად ადამიანისთვის, კაცობრიობისთვის, დედამიწისთვის კარგი უნდა, ეს არის უხილავი მტრის ახალი იარაღი და ამ იარაღის წინააღმდეგ ისეთივე ბრძოლაა საჭირო, როგორც ადრე ომში. ოღონდ ეს სულ სხვა ბრძოლაა, უფრო დიდი პასუხისმგებლობის და უფრო დიდი საქმისთვის, ვიდრე ადრინდელი – აქ კაცობრიობის გადარჩენაზეა საუბარი და არა მხოლოდ ტანმოხატული, პომადიანი, ქალის კაბაჩაცმული კაცების თითქოსდა უწყინარი ხტუნვა-ხუნტრუცის წინააღმდეგ გალაშქრება.




**საქართველოს კი ამ ომში ისევე არავინ დაეხმარება, როგორც არასდროს არავინ დახმარებია არც ერთ ომში, მეტიც, ისე გაიძეძგა და გაიბერა მსოფლიოში გარყვნილების ბუშტი, რომ, შეიძლება, ამ წინააღმდეგობაში მოკავშირეც რომ დაგვჭირდეს, ისიც კი არ გამოგვიჩნდეს.**

**თხუნელასავით თვალს წინასწარ ვერავინ დაითხრის, მაგრამ ლგბტქ+ „პრაიდი“, მით უმეტეს, ამ იდეოლოგიის დაკანონება და მათი ლეგიტიმაცია საქართველოსთვის დამღუპველია. ახალი უბედურების წინაშე ვდგავართ და ამასაც უნდა გავუძლოთ, ქართველებო!**

**ირანდა კალანდაძე**

## კგბ-ს დოსიეში სტოლტენბერგიც იყო, როგორც ინფორმატორი...



# იენს სტოლტენბერგი ერთი წლით რჩება!..

**უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ ფრთხილი რიტორიკით ცნობილი იენს სტოლტენბერგი ნატოსთვის შეუცვლელი გახდა. მას პოლიტიკურად რთულ დროს უწევდა გენერალური მდივნის პოსტის ჩაბარება. ამდენად, სტოლტენბერგს ნატოს წევრმა 31 ქვეყანამ თანამდებობაზე დარჩენის თხოვნით მიმართა და მანაც გაიზიარა მათი თხოვნა. 1 ოქტომბრის ნაცვლად, როცა სტოლტენბერგს ნატოსთან კონტრაქტი ეწურება, ის ამ პოსტს კიდევ ერთი წლით შეინარჩუნებს.**

არადა, მის შესაძლო მემკვიდრეებად დანიის პრემიერი მეტე ფრედერიკსენი და ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრი ბენ უოლესი განიხილებოდნენ.

ნორვეგიელი პოლიტიკოსი, ნორვეგიის ყოფილი პრემიერ- მინისტრი სტოლტენბერგი ნატოს შტაბბინას 2014 წლიდან უდგას სათავეში. თავის დროზე სტოლტენბერგის კანდიდატურა ნატოს გენმდივნის პოსტზე **ანგელა მერკელმა** წარადგინა.

ზოგიერთი მიიჩნევს, რომ სტოლტენბერგი ზედმეტად ფრთხილი ადამიანია, სწორედ ამის გამოა, რომ ნატო ვერ აძლევს იმდენ დახმარებას უკრაინას, რომ რუსეთს საკუთარ ტერიტორიაზე შეუტიოს.

„მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის" ხელმძღვანელის **პეტრე მამრაძის** აზრით, სტოლტენბერგი საინტერესო პიროვნებაა. სხვათა შორის, მამამისი ნორვეგიის პრემიერ-მინისტრი იყო, მერე იენს სტოლტენბერგი გახდა პრემიერ-მინისტრი.

პეტრე მამრაძე საინტერესო შემთხვევას იხსენებს, რომ ნატოს ახლანდელი გენმდივანი სტოლტენბერგი სანამ პოლიტიკური პარტიის წევრი იყო, მას ჰყავდა რუსი განუყრელი მეგობარი, ჟურნალისტი, კგბ-ს მზვერავი, რომელიც როცა გაიქცა დასავლეთში და გაიტანა მასალები, აღმოჩნდა, რომ კგბ-ს დოსიეში სტოლტენბერგიც არსებობდა, როგორც ინფორმატორი, ზედმეტსახელად, „სტეკლოვ". ნორვეგიაში ამის გამო სასამართლო გაიმართა, სასამართლოზე სტოლტენბერგმა თქვა, „მე ეს ადამიანი საუკეთესო მეგობარი მეგონა, არ ვიცოდი, თუ კგბ-ს აგენტი იყო, მე ყველაფერს ვუყვებოდი, მაგრამ არასდროს არ ვფლობდი საიდუმლო ინფორმაციას, რადგან მასზე წვდომა არ მქონდა". კი ბატონო, კგბ-ში ჩაითვალა, რომ ძალიან საინტერესო ინფორმატორი იყო სტოლტენბერგი, მაგრამ მან ამის შესახებ არაფერი იცოდა. სასამართლომ გაამართლა სტოლტენბერგი და ამ ინციდენტმა იოტისოდენად არ შეუშალა ხელი პოლიტიკურ კარიერაში.

**„სტოლტენბერგს არავინ წამოაძახა, შენ ის კაცი არ ხარ, კგბ-ს დოსიეში რომ აღმოჩნდი და გაგასამართლეს?! წარმოიდგინეთ, საქართველოში რა მოხდებოდა. სტოლტენბერგი მტკიცე ადამიანი და გამოცდილი პოლიტიკოსია. მაგალითად, გაეროს გენერალური მდივანი გუტიერეში გამოდის და ამბობს, რომ გაერომ დაკარგა თავისი აზრი და ძირითადი ფუნქცია. მართლაც ასეა, აგერ, უშიშროების საბჭოში კვლავაც მუდმივ წევრად ჰყავთ რუსეთი, თავისი ვეტოს უფლებით. ნატოში კი სულ სხვაგვარადაა ვითარება. სტოლტენბერგმა ძალიან კარგად იცის საზღვარი, რომლის იქით ის, როგორც გენმდივანი ვერ მოახდენს ზეწოლას ვერც საფრანგეთზე, ვერც გერმანიაზე, ვერც ესპანეთზე, ვერც ბრიტანეთზე, ვერ ეტყვის, რომ საწევრო საკმარისი არ არის და ცოტა მეტი თანხა გაიღეთ. სტოლტენბერგი დიპლომატია, მან კარგად იცის, როგორი განწყობაა ამ ქვეყნების მოსახლეობაში, რომ ისედაც ზღვარზე არიან ლიდერები, ხომ არ გგონიათ, საფრანგეთში ვინმეს უნდა რუსეთთან კონფლიქტი, მიკვირს, ამდენს მაინც რომ ახერხებენ უკრაინის დასახმარებლად. სტოლტენბერგი ახერხებს, რომ წევრ ქვეყნებში კონფლიქტს არ იწვევს. ნატოს წევრი ქვეყნების პრეზიდენტებს და პრემიერებს რომ უწევთ სტოლტენბერგთან ურთიერთობა, ისინი რწმუნდებიან, რომ ეს არის ადამიანი, რომელიც რადიკალი არაა, რეალისტია და ოპტიმალურად აკეთებს ყველაფერს",** – აცხადებს პეტრე მამრაძე.

ანალიტიკოსი იმასაც იხსენებს, რომ რუსეთის ჯარის გაქცევისას სტოლტენბერგმა თქვა, არავის ეგონოს, ეს ომი მალე დამთავრდება, რუსეთს აქვს ის რესურსი, ომი გაგრძელდეს საკმაოდ დიდხანს, თუნდაც წლები. პეტრე მამრაძის თქმით, სტოლტენბერგი აპირებს დაეხმაროს უკრაინას, სანამ უკრაინა არ გათავისუფლდება ყირიმის ჩათვლით, როგორც ეს უკრაინელ ხალხს უნდა.

ყოფილი სახელმწიფო მინისტრი **პაატა ზაქარეიშვილი** მიიჩნევს, რომ სტოლტენბერგი წარმატებული გენერალური მდივანია, ძალიან პრინციპული, ღირებულებებზე დაფუძნებული ხედვები აქვს. ამდენად, კარგია, რომ ის რჩება ნატოს გენმდივნის პოსტზე.

**„მე არ ვიცი, ვინ შეიძლება იყოს მისი შემცვლელი, თუ არა სტოლტენბერგი, რადგან მან კარგად გაართვა თავი საქმეს. ვიდრე უკრაინის ომი არ დასრულდება, მანამდე ის უნდა იყოს ნატოს თავმჯდომარე, რადგან საამისო გამოცდილება გააჩნია. ნატოს სიფრთხილეზე როცა საუბრობენ რუსეთის მიმართ, უნდა გვახსოვდეს, რომ ნატოს თავმჯდომარე არ არის გადამწყვეტი ფიგურა, თავმჯდომარე ანგარიშს უწევს ნატოში გაწევრიანებული სახელმწიფოების ინტერესებს. როგორც ჩანს, სტოლტენბერგი წარმატებით ართმევს თავს კოორდინაციას, ამიტომაც უნდათ ხელახლა დატოვონ"...**

სტოლტენბერგის წინამორბედ **რასმუსენს** თავისი ხედვები ჰქონდა, სტოლტენბერგს თავისი, ისინი ერთმანეთს ავსებენ და აგრძელებენ. უფრო მეტიც, **ხავიერ სოლანამ** დაიწყო ახალი პოლიტიკა ნატოში და სოლანას პოლიტიკა ნატოში უკვე დიდი ხანია გრძელდება. ეს არის ახალი ევროპული სტანდარტების პოლიტიკა, მიუხედავად იმისა, რომ ტრამპისნაირი პოლიტიკოსები ამბობდნენ, თითქოს ნატო მოძველდა.

**მანანა ნოზაძე**

## უკრაინისთვისაც სავალდებულოა გარდაქმნები და ნატოს სტანდარტები...




**აშშ ერთგულია ნატოს ღია კარის პოლიტიკის მიმართ, ნატოში გაწევრების შესახებ ნებისმიერი გადაწყვეტილება მიიღება 31 მოკავშირესა და ასპირანტ ქვეყანას შორის,** – ამის შესახებ აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესსპიკერმა, კარინ ჟან-პიერმა განაცხადა.

თეთრი სახლის წარმომადგენლის თქმით, როდესაც საქმე უკრაინას ეხება, ვაშინგტონი ნატო მოკავშირეებთან და უკრაინასთან დიალოგს აწარმოებს, თუ როგორ არის შესაძლებელი ერთობლივად მოხდეს ევროატლანტიკური ინტეგრაციისთვის უკრაინის სწრაფვის მხარდაჭერა.

**„მე არ ვაპირებ დეტალებსა და კერძო საუბრებში შესვლას. ეს პრეზიდენტმა არაერთხელ თქვა: უკრაინამ უნდა გაატაროს რეფორმები, რათა დააკმაყოფილოს იგივე სტანდარტები, როგორც ნატოს ნებისმიერმა ქვეყანამ გაწევრიანებამდე. ის ფიქრობს, რომ ეს შეიძლება გაკეთდეს, უკრაინას შეუძლია ამის გაკეთება. კიდევ ერთხელ, ჩვენ ერთგული ვართ და ერთგული ვიყავით ნატოს ღია კარის პოლიტიკის მიმართ. და ჩვენ ასე გავაგრძელებთ",** – განაცხადა კარინ ჟან-პიერმა.

## პოლონეთი რუსეთს ემუქრება



**რუსეთის მიერ ზაპოროჟიეს ატომურ ელექტროსადგურზე თავდასხმის შემთხვევაში პოლონეთს ადეკვატური რეაგირება ექნება,** – ამის შესახებ პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ზბიგნევ რაუმ განაცხადა. მინისტრმა აღნიშნა, რომ ასეთი დარტყმის შემთხვევაში ეს ნატოს ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს შეეხება.

**„ამიტომ ამას შესაბამისი რეაგირება დასჭირდება. და ნუ ელით, რომ ზუსტად გეტყვით, რა იქნება ეს პასუხი",** – აღნიშნა პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

შეგახსენებთ, უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა განაცხადეს, რომ რუსებმა, შესაძლოა, მალე დაიწყონ მზადება ზაპოროჟიეს ატომურ ელექტროსადგურზე პროვოკაციებისთვის – მათ ასაფეთქებელი ნივთიერებების მსგავსი ობიექტები მოათავსეს ორი ენერგობლოკის სახურავებზე. ნატოს სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარემ, რობ ბაუერმა კი განაცხადა, რომ რუსეთის მიერ ზაპოროჟიეს ატომურ ელექტროსადგურზე თავდასხმის შემთხვევაში მისი შედეგები მთელ მსოფლიოზე აისახება. არადა, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ექსპერტები აცხადებენ, რომ შემოწმებისას ატომურ სადგურზე არავითარი ასაფეთქებლების კვალი არ შეინიშნება.

## რასაც აშშ უკრაინას უზიარებს, რუსულ დაზვერვამდეც აღწევს

**რუსული დაზვერვა ძალიან აქტიურია უკრაინაში და თითქმის ყველაფერი, რასაც აშშ უკრაინას უზიარებს, სავარაუდოდ, რუსულ დაზვერვამდეც აღწევს,** – წერს ამერიკული გამოცემა Newsweek-ი ამერიკელ სადაზვერვო ექსპერტებზე დაყრდნობით.

**„ჩვენ გამოვავლინეთ რუსი ჯაშუშები უკრაინის მთავრობისა და სამხედროების რიგებში და მიწოდების ჯაჭვის სხვა წერტილებში. თუმცა, რუსეთის დაზვერვის შეღწევა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, თუნდაც ნატოს წევრ ქვეყნებში, ღრმაა და რუსეთის გავლენის ოპერაციები პირდაპირ შეშფოთებას იწვევს",** – აღნიშნავს გამოცემა Newsweek-თან საუბარში აშშ-ის სამხედრო კონტრდაზვერვის წარმომადგენელი.

როგორც Newsweek-ი წერს, მაშინ, როდესაც უკრაინამ მილიარდობით დოლარის ღირებულების იარაღის მიღება დაიწყო, კიდევ ერთი საკითხი, რომელზეც აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო მუშაობს, კორუფციასთან ბრძოლის ამოცანაა, რომელიც მთავარი პრობლემა აღმოჩნდა.

სტატიაში ასევე აღნიშნულია, რომ უკრაინის ომის ერთ-ერთი ყველაზე დიდი საიდუმლო არის ის, თუ რამდენი რამ არ იცის აშშ-ის ცენტრალურმა სადაზვერვო სააგენტომ. სააგენტო ისევე გაურკვეველია ვოლოდიმირ ზელენსკის განზრახვებში, როგორც ვლადიმირ პუტინის შემთხვევაში.

**„არის ფარული ომი, ფარული წესებით, რაც საფუძვლად უდევს ყველაფერს, რაც ხდება უკრაინაში",** – ამბობს ბაიდენის ადმინისტრაციაში დაზვერვის მაღალჩინოსანი, რომელმაც ასევე ისაუბრა Newsweek-თან.

გამოცემა ასევე აღნიშნავს, რომ უკრაინის თავდასხმებმა ყირიმის ხიდზე, რუსეთის მოსაზღვრე ტერიტორიებსა და კრემლზე, გააჩინა კითხვები აშშ-ის დაზვერვის ერთ-ერთ მთავარ სადაზვერვო პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით: საკმარისად იცოდნენ თუ არა, რას გეგმავენ უკრაინელები.

**„CIA-მ ყირიმის ხიდზე თავდასხმით შეიტყო, რომ ზელენსკის ან არ ჰქონდა სრული კონტროლი საკუთარ სამხედროებზე, ან არ სურდა გარკვეული ქმედებების შესახებ სცოდნოდა",** – ამბობს აშშ-ის სამხედრო დაზვერვის წარმომადგენელი.



# როკვით, კალმით და ზნეკეთილობით მოვარგებული წუთისოფელი



**85 წლისა შესრულდა გამოჩენილი ქართველი შემოქმედი და საზოგადო მოღვაწე თენგიზ ვარლამის ძე უთმელიძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:**

## თენგიზ უთმელიძე - 85

**ჩვენო ძვირფასო ბატონო თენგიზ!**

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები დიდი სიყვარულით მოგესალმებიან მრავალმხრივი ნიჭიერებითა და პატიოსნებით გამორჩეულ შემოქმედს, ჩვენი სამწერლო ოჯახის ერთ-ერთ ღირსეულ წევრს და გილოცავენ დაბადების 85 წლისთავს.

ფართო საზოგადოება თქვენ გიცნობთ, როგორც ქართული ხალხური ცეკვის ერთ-ერთ უბრწყინვალეს წარმომადგენელს, რომელიც თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში ანცვიფრებდა მაყურებელს ვირტუოზული ტექნიკით, სიჩაუქით, შესრულების არაჩვეულებრივი, მხოლოდ მისეული მანერით...

ახალგაზრდობის და სტუდენტთა მოსკოვის VI ფესტივალზე სრულიად შემთხვევით აღმოგაჩინეს ქართული ცეკვის კორიფეებმა ნინო რამიშვილმა და ილიკო სუხიშვილმა და დაუფიქრებლად მიგიწვიეს მათ ჯადოსნურ ანსამბლში. გუმანმა არ უმტყუნა ამ დიდ შემოქმედებს და თქვენც ისე სწრაფად და ორგანულად ჩაეწერეთ ამ ლეგენდარული ანსამბლის ოქროს ხანის დასში, რომ იმავე წელს საგასტროლო ტურნეში წაგიყვანეს. მას შემდეგ მსოფლიოს 70 ქვეყნის უპირველეს საკონცერტო დარბაზებში ბრწყინავდით და საქართველოს – „დაჭრილი მზის“ (როგორც გრიგოლ რობაქიძე იტყოდა ხოლმე) სახელსა და დიდებას იცავდით, თავად ნინო რამიშვილს უწევდით პარტნიორობას ჩვენი ერის უპირველეს ცეკვა „ქართულში“ და ქართული სულის, ჯიშის, რასის ქედუხრელობასა და რაინდობას ასხივებდით.

თქვენი და სუხიშვილების სწორუპოვარი ანსამბლის შემოქმედებით აპოგეას წარმოადგენდა იტალიური გასტროლები, როდესაც მილანის „ლა-სკალას“ საოპერო თეატრში თოთხმეტჯერ აიწია ფარდა...

სუხიშვილების ანსამბლი თქვენი ცხოვრების ჭეშმარიტ გამართლებად იქცა. თქვენ, ღირსეული მოცეკვავე, მემატიანედ იქეცით ამ ლეგენდარული ანსამბლისა, რაშიც თქვენი პროფესია – ჟურნალისტობა გამოგადგათ. თქვენ კალმით თუ ფოტოაპარატით ხელში აღწერდით, და ქმნიდით ფასდაუდებელ კინოფოტომატიანეს ანსამბლისა, რომელიც აჯადოებდა მსოფლიოს. თქვენი ფოტოგამოფენები დიდი წარმატებით ჩატარდა თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. „სუხიშვილებს“ უძღვენით უნიკალური დოკუმენტური ფილმი, რომელშიც აისახა ანსამბლის გასტროლები ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, სინგაპურსა და მალაიზიაში. მშობლიური ანსამბლის ტრიუმფალურ არსებობას ეძღვნება თქვენი ისეთი კრებულები, როგორიცაა „სუხიშვილები, რომანტიკული ფოტომატიანე“ და „როკვით განფენილი ქართული გენი“...

ჩინებულად განასახიერეთ აბესალომის როლი სიკო დოლიძის მხატვრულ ფილმში „ეთერის სიმღერა“.

ძალზე გვახარებს, რომ ასეთი ხელოვანი ჩვენი შემოქმედებითი კავშირის წევრი ბრძანდებით. თქვენი პირველი ლექსი „ტრიუმფი ლა-სკალაში“, რომელიც 2007 წელს გამოქვეყნდა ისევ და ისევ „სუხიშვილებით“ იყო შთაგონებული. თქვენი ლექსები თქვენივე სულის ნაჟურს წარმოადგენს, ქართველი კაცის სულიერ ღაღადისს მშობელი ქვეყნის საკურთხეველთან აღვლენილს და მალამოდ ედება ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ის ღვთიური სამება, რასაც მამული, ენა, სარწმუნოება ჰქვია...

მეტად ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდით. სხვადასხვა დროს იყავით გაზეთ „კომუნისტის“ და საქინფორმის სპეციალური კორესპონდენტი, საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს სამმართველოს უფროსის მოადგილე, სახალხო განათლების სამინისტროს სასწავლო დაწესებულებათა ინსპექციის უფროსი, საქართველოს კულტურის სამინისტროს სამმართველოს უფროსი, საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის თავმჯდომარე, საქართველოს ფილარმონიის დირექტორის მოადგილე, მერაბ ბერძენიშვილის სახელობის საერთაშორისო კულტურის ცენტრის „მუზას“ გენერალური დირექტორი, თქვენი, როგორც კოორდინატორის, ძალისხმევით ჩატარდა ქართული კულტურის დღეები სანდიეგოში (აშშ), სტამბოლში (თურქეთი), მოსკოვში (რუსეთი). თქვენი უშუალო ინიციატივით 2005 წელს დაარსდა „ქართული ქორეოგრაფიის დღე“, როგორც პროფესიული დღესასწაული.





თქვენი მრავალწლიანი ღვწა და შთაგონებული რუდუნება ღირსეულად დაფასდა. დაჯილდოებული ხართ ღირსების ორდენით, ქორეოგრაფიის რაინდის ორდენით, მონიჭებული გაქვთ საქართველოს დამსახურებული არტისტის, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის, ქართული ხელოვნების ქურუმის, ქართული კულტურის რაინდის წოდებები, ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემია. არჩეული ხართ თბილისის საპატიო მოქალაქედ, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კულტურისა და მეცნიერების აკადემიის აკადემიკოსად. თბილისის ფილარმონიის წინ გახსნილია თქვენი ვარსკვლავი.

**ბატონო თენგიზ!**

კიდევ ერთხელ გულმხურვალედ გილოცავთ საიუბილეო თარიღს სამშობლოს უებრო სამსახურში ბოლომდე დახარჯულ შემოქმედსა და რაინდს, გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და თქვენი ყველა სურვილის ასრულებას.

**საქართველოს მწერალთა კავშირი,**

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია.**

# გიორგი კალანდია: ორი ძვირფასი ქართული ხელნაწერი ბრიტანეთის ბიბლიოთეკის კოლექციისათვის გაიგზავნა

**ერთი შესანიშნავი ამბავი: მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი სამეცნიერო უწყება ბრიტანეთის ეროვნული ბიბლიოთეკა ჩვენს მიერ განხორციელებულ პროექტს თავის ოფიციალურ გვერდზე შესანიშნავ პუბლიკაციას უძღვნის – ამ ამბავს კი სული საქართველოს სამეფო აზიური საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტმა თამარ ლაცაბიძემ შთაბერა და ხელოვნების სასახლესთან მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობით თამამად ვიტყვი, საქვეყნო ამბავი გააკეთა,** – ამის შესახებ ხელოვნების სასახლის დირექტორი გიორგი კალანდია სოციალურ ქსელში წერს

**...საქმე ისაა, რომ მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს ბრიტანეთის ბიბლიოთეკაში მოხატული ქართული ხელნაწერები დღემდე არ ინახებოდა, ეს ხარვეზი გარკვეულწილად ჩრდილში აქცევდა ბრიტანეთის ქართული ხელნაწერების კოლექციას სხვა კოლექციებთან შედარებით... ჩვეულებრივი ამბავია... დიდი გამოფენების მოწყობისა თუ კატალოგების გამოცემის დროს სპეცილისტიც და ჩვეულებრივი დამთვალიერებელიც უფრო მეტ ყურადღებას მდიდრულად გაფორმებულ ხელნაწერებს უთმობს... ჰოდა თამარ ლაცაბიძის პროექტის საფუძველზე ორმა გამორჩეულმა ქართველმა კალიგრაფმა ოთარ მეგრელიძემ და გიორგი სისაურმა პირველად საქართველოს ისტორიაში: გადაწერეს და მოხატეს ორი ძვირფასი ქართული ხელნაწერი: „ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისა“ და ბასილი ეზოსმოძღვრის „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისა“.**



**ჩვენი სახელოვანი მონარქების დიდებული პორტრეტებით, ბრწყინვალე მინიატურებითა და საზედაო ასოებით გაფორმებული ეს ხელნაწერები ხელოვნების სასახლის სარესტავრაციო ლაბორატორიაში აიკინძა, ტყავის ყდებში ჩაისვა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით ბრიტანეთის ბიბლიოთეკის კოლექციისათვის გაიგზავნა. ფრიად დიდი პატივია, როცა ესოდენ ავტორიტეტული სიძველეთსაცავი თანამედროვე ხელნაწერების შენახვას თანხმდება და მით უფრო ასეთ პროექტს საგანგებო პუბლიკაციას უძღვნის.**

**ვულოცავ პროექტის ხელმძღვანელს თამარ ლაცაბიძეს, ხელოვნების სასახლეს, კალიგრაფებს: ოთარ მეგრელიძესა და გიორგი სისაურს ამ დიდ გამარჯვებას, ვულოცავ საკუთარ თავს, მადლობას ვუხდი პუბლიკაციისათვის ბრიტანეთის ეროვნულ ბიბლიოთეკას და ქართული კოლექციების კურატორს ანა ჭელიძეს, მადლობა საგარეო საქმეთა და კულტურის სამინისტროებს ამ დიდი მნიშვნელობის პროექტის მხარდაჭერისთვის“!**







თავაწეულნი



# რიგშია უელსი!

**ზეგ საქართველოს მორაგბეთა ახალგაზრდული ნაკრები სამხრეთ აფრიკაში მიმდინარე მსოფლიოს თასზე მე-5-მე-8 ადგილებისთვის მებრძოლი კვარტეტის მინი-ტურნირში უელსთან შეხვედრით ჩაებმება, რომელმაც ფორუმის პირველი ეტაპი ღირსეულად წარმართა და თვით ახალ ზელანდიასთანაც კი მხოლოდ 1 ქულით დამარცხდა ბოლო წუთზე. სხვათა შორის, ჯგუფიდან ვერც ამ უკანასკნელებმა გააღწიეს, რაც უდიდესი სენსაციაა და მათ მეზობელ ავსტრალიასთან მოუწევთ ჯახი. მეცხრე-მეთორმეტე ადგილებისთვის ერთმანეთს იტალია – ფიჯი და არგენტინა – იაპონია შეებმებიან, ხოლო ნახევარფინალში საფრანგეთი – ინგლისი და ირლანდია – მასპინძლები დაწყვილდნენ.**

გუშინ დილით ტაიმ-აუტში ჩართულმა უმცროს ბორჯღალოსანთა ერთ-ერთმა მწვრთნელმა **თორნიკე ბუზუტეიშვილმა** განაცხადა, რომ თანამემამულეთა შემდეგ იქაურები სწორედ ჩვენ გუნდს ქომაგობენ, მომავალმა მეტოქემ კი სასტუმროში იტალიასთან გამარჯვების აღსანიშნავად დაუვიწყარი დახვედრა მოგვიწყო!

რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი საამაყოა, მაგრამ, თქვენი არ იყოს, აქამდე არ გვტოვებს უკმაყოფილების გრძნობა, თუ რა ცოტა დაგვაკლდა კიდევ უფრო დიდ მოვლენამდე, რასაც ნახევარფინალში თამაში ჰქვია.

**მართლაც, საკმარისი იყო, რომ დასკვნით ტურში ავსტრალიას უკანასკნელ წუთზე დადებული ლელოს შემდეგ რეალიზაცია გამოეყენებინა, რომ რაგბის სამშობლოს ნაცვლად ელიტაში ჩვენ შევაბიჯებდით. აღარაფერს ვამბობთ იმ ფატალურ უიღბლობაზე, რომელმაც წინა მატჩებში ბონუს-ქულები დაგვაკარგვინა. მიუხედავად ამისა, ისტორია მაინც დავწერეთ. მადლობთ, ლომებო!**

მოვლენის წინ

# სწავლის ძირი მწარე არის...

**საქართველოს ხელბურთელთა ახალგაზრდული ნაკრები ხორვატეთში გასამართავი მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადებას განაგრძობს და მარტყოფის სარაგბო ბაზაზე ვარჯიშობს. ბიჭების განვითარებას უზრუნველყოფს ფიზიკური მომზადების მწვრთნელი მამუკა ბაქრაძე.**

შეგახსენებთ, რომ მუნდიალს 2-13 აგვისტოს ზაგრების ოთხი დარბაზი უმასპინძლებს: Varazdin, Koprinica, Opatija და Rejeka, რომელთაგან პირველ მათგანში ფინალური ტურიც ჩატარდება. საქართველოს ნაკრები F ჯგუფში ნორვეგიას, მონტენეგროს და ჩრდილოეთ მაკედონიას დაუპირისპირდება.

### გუნდის შემადგენლობა:

**მეკარეები:** გიგი რუხაძე, თემურ ქამადაძე, ირაკლი გურული.

**უკანა ხაზი:** გიგა მელიავა, ლევან ფანცხავა, სანდრო დარსანია, ნიკოლოზ შერვაშიძე, გიორგი არეშიძე, დავით გრიშიკაშვილი.

**კუთხეები**: ვახტანგ ხელისუფალი, ანრი აბულაძე, ლუკა მუკბანიანი, ნუგზარ ტარიელაძე, ალექსანდრე შიოშვილი.

**ხაზები**: გიორგი გრიშიკაშვილი, ლუკა ლანჩავა.

**მთავარი მწვრთნელი:** გიორგი გვაზავა.

**მწვრთნელი:** შოთა თევზაძე.

**გუნდის უფროსი:** ბექა ორჯონიკიძე.

**ექიმი**: გიორგი საღინაძე.

### მსოფლიო ჩემპიონატის ჯგუფები:

**A ჯგუფი:** პორტუგალია, ხორვატეთი, რუანდა, ალჟირი.

**B ჯგუფი:** უნგრეთი, სლოვენია, მაროკო, ახალი ზელანდია.

**C ჯგუფი:** ეგვიპტე, ისლანდია, იაპონია, ჩეხეთი.

**D ჯგუფი:** ესპანეთი, სამხრეთ კორეა, ბრაზილია, ბაჰრეინი.

**E ჯგუფი:** დანია, ავსტრია, ჩილე, მექსიკა.

**F ჯგუფი:** ნორვეგია, მონტენეგრო, ჩრდილოეთ მაკედონია, საქართველო.

**G ჯგუფი:** გერმანია, არგენტინა, საუდის არაბეთი, აშშ.

**H ჯგუფი:** შვედეთი, ფარერები, ირანი, ბურუნდი.



# – უსაზღვრებო კალათბურთი

**ამ დღეებში ახალ კლუბთან გააფორმა კონტრაქტი საქართველოს ეროვნული ნაკრების სნაიპერმა დუდა სანაძემ, რომელიც კარიერას უნგრეთში გააგრძელებს.**

აწ უკვე კვიპროსის ანორთოსისის ყოფილი ლიდერი უნგრეთის ქალაქ პაკშის ატომერომუსში ჩაირიცხა, რომელმაც იქაური ეროვნული ჩემპიონატის რეგულარულ სეზონში მე-9 ადგილი დაიკავა, პლეი-ოფში ვერ მოხვდა და, ბუნებრივია, ევროტურნირებს მიღმა დარჩა.




* * *

**მოგეხსენებათ, რომ 1962 წელს ჟენევაში თბილისის დინამომ ქართული საკლუბო სპორტის მწვერვალზე აბიჯა და სამშობლოში მადრიდის რეალის ძლევით მოხვეჭილი ჩემპიონთა თასით დაბრუნდა.**

სიმბოლურია, რომ სწორედ შვეიცარიის ამ ქალაქმა უმასპინძლა ამჯერად უკვე რანგით მეორე საკალათბურთო ევროტურნირის – ჩემპიონთა ლიგის წილისყრას, რომელშიც 5-წლიანი პაუზის შემდეგ ჩვენი ქვეყნის უძლიერესი გუნდიც ითამაშებს. ესაა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელმაც განვლილ სეზონში დუბლი შეასრულა და ამჯერად ძალებს საერთაშორისო სარბიელზეც მოსინჯავს.

როგორც გაირკვა, სტუდენტთა მეტოქე საკვალიფიკაციო რაუნდში ლისაბონის ბენფიკა იქნება, ხოლო მატჩი სექტემბრის ბოლოს განთქმულ თურქულ კურორტ ანტალიაში გაიმართება – ზუსტი თარიღი მოგვიანებით დადგინდება. რაც შეეხება მეტოქეს, იგი პორტუგალიის 29-გზის ჩემპიონი, თასის 23-გზის და სუპერთასის 14-გზის მფლობელია. მოკლედ, წარმატებები თსუ-ს!

* * *

**ამასობაში გამოცხადდა დამდეგი მუნდიალის ერთ-ერთი ფავორიტის – ევროპის მოქმედი ჩემპიონის ესპანეთის ნაკრების გაფართოებული 16-წევრიანი შემადგენლობა, რომელსაც ჯგუფში მეტოქეობას ბრაზილია, ირანი და კოტ დივუარი გაუწევენ.**

პირენეელთა სამწვრთნელო შტაბის 12 რჩეული მალე დასახელდება და მათ შორის, დიდი ალბათობით, ნბა-ს 5 ვარსკვლავი და იაპონიის ლიგაში მოთამაშე 1 ლეგიონერი იქნება, გუნდის კაპიტანი კი უბერებელი ვეტერანი რუდი ფერნანდესია.

* * *

**საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა მოსამზადებელი ეტაპი დაასრულა და ჩრდილოეთ მაკედონიაში, ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონში სათამაშოდ 12-კაციანი შემადგენლობით გაემგზავრა. მოსამზადებელი ეტაპის ფარგლებში გუნდმა 3 სხვადასხვა ქვეყანაში 7 ამხანაგური მატჩი ჩაატარა, რის შემდეგაც სამწვრთნელო შტაბის გადაწყვეტილებით 16-კაციანი გაფართოებული შემადგენლობიდან 12 კალათბურთელი შეირჩა.**

ჩვენი გუნდი ჩრდილოეთ მაკედონიაში გასამართავ ევროპის ჩემპიონატზე C ჯგუფში იასპარეზებს, სადაც უკრაინის, შვედეთის, კოსოვოსა და აზერბაიჯანის ასაკობრივ ნაკრებებს დაუპირისპირდება.

მთავარი მწვრთნელის, **კოტე ტუღუშის** განცხადებით, გუნდი ევროპის ჩემპიონატზე მაქსიმალურად დაიხარჯება და მისი პროგრამა-მინიმუმი ჯგუფიდან გასვლა იქნება.

კაპიტანმა, **ლუკა ლიკლიკაძემ** გუნდის მიერ განვლილი მოსამზადებელი პერიოდი მოკლედ შეაფასა: **„კარგი მოსამზადებელი პერიოდი გავიარეთ, გამოჩნდა ჩვენი ძლიერი და სუსტი მხარეები, გუნდში კარგი ატმოსფეროა დაყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ჩვენთვის სასურველ შედეგს მივაღწიოთ“.**

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები თამაშებს შემდეგი განრიგით გამართავს:

**7 ივლისი** – საქართველო-უკრაინა, 20:30.
**8 ივლისი** – კოსოვო-საქართველო, 15:30.
**11 ივლისი** – საქართველო-შვედეთი, 20:30.
**12 ივლისი** – აზერბაიჯანი-საქართველო, 23:00.

* * *

**სლოვენიის დედაქალაქ ლიუბლიანაში გამართულ ფიბა ევროპის გენერალურ ასამბლეაზე ამ ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტების დანიშვნასა და სხვა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა მიღებასთან ერთად მუდმივმოქმედი სამუშაო კომისიები დააკომპლექტეს, რომლებშიც ევროპის სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად სამი ქართველი შევიდა.**

იურიდიულ კომისიას 12 წევრი შეადგენს, რომელთაგან ერთ-ერთი საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივნის მოადგილე **ლაშა გამყრელიძეა.** ფინანსური კომისიის 14 წევრში აირჩიეს ჩვენი ფედერაციის გენერალური მდივანი **დავით საყვარელიძე.** ყველაზე მრავალრიცხოვანი ფიბა ევროპის ახალგაზრდული კომისიაა, რომელშიც 17 წევრი, მათ შორის საქართველოს კალათბურთის ფედერაციის რეგიონული განვითარების დეპარტამენტის უფროსი **შალვა ონიანია.**

მთლიანობაში ფიბა ევროპას 8 მუდმივმოქმედი კომისია ჰყავს, რომლებიც წლის განმავლობაში პერიოდულად იკრიბებიან და საკუთარი პროფილის შესაბამის საკითხებს განიხილავენ, სამუშაო გეგმას სახავენ და შესაბამისად, ანხორციელებენ.

ევრო – 2023

# ნანატრი აფიშა

უკრაინის ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **რუსლან როტანმა,** ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში ესპანეთის ნაკრებთან მისი გუნდის გამანადგურებელი მარცხის მიზეზები (1:5) დაასახელა.

**„ვფიქრობ, ბიჭებმა აღდგენა ვერ მოასწრეს. თავს არ ვიმართლებთ, მაგრამ...**

**აეროპორტში ხუთ საათს ვისხედით და ნახევარი დღე დავკარგეთ ბუქარესტში ჩასასვლელად. ბიჭებს ძალიან უნდოდათ გამარჯვება და ეს თვალებში ეტყობოდათ, მაგრამ ფეხები არ ემორჩილებოდათ. აღდგენა მთავარ როლს თამაშობს, ამიტომ ამ ფაქტმა შედეგზე ნამდვილად იმოქმედა. თანაც, როგორც ჩანს, დღეს უბრალოდ ჩვენი დღე არ იყო.“** – ციტირებს როტანის სიტყვებს ua.tribuna.com

ტურნირის ფინალში ესპანეთის ნაკრები ინგლისს შეხვდება. მატჩი 8 ივლისს ბათუმში გაიმართება.

რა შეიძლება ითქვას ლურჯ-ყვითელთა ფიასკოზე? რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია დასახელებული ფაქტორი, მაგრამ დამარცხებულები ხომ უპირველესად გამძლეობით გამოირჩევიან? ასეა თუ ისე, წაგებას ყველა ღირსეულად უნდა შეხვდეს და თავის მართლებას შეეშვას, თორემ რა გამოდის? – მაშინ თვით ტურნირია გასაუქმებელი, რადგან მისი ფორმატი ყოველ 3 დღეში თამაშს ითვალისწინებს. რაც შეეხება ბათუმში გამართულ მეორე ნახევარფინალს, ფეხბურთის სამშობლომ, ისევე როგორც ჯგუფურ რაუნდში, ამჯერადაც ჩაუტარა გაკვეთილი ისრაელს, რომელსაც მრავალრიცხოვანმა ქომაგმაც კი ვერ უშველა – 3:0. მატჩის გმირმა პირსონმა ერთ გოლს ორი შედეგიანი გადაცემა დაუმატა, თანაც კარსლის გუნდმა შეხვედრის დასაწყისში პენალტი ვერ გაიტანა. დავძენთ, რომ ინგლისელებმა 2013 წელს ესპანელთა დამყარებული რეკორდი გაიმეორეს – მათ ბურთი ჯერაც არ გაუშვიათ.



## შობა ნათლისმცემლისა და წინასწარმეტყველისა იოანესი



**7 ივლისს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს წინასწარმეტყველისა და ნათლისმცემლისა იოანეს შობას.**

...ცნობილია, რომ წინასწარმეტყველი იოანე მღვდელ ზაქარიას (აარონის მოდგმა) და მართალი ელისაბედის (მეფე დავითის მოდგმა) შვილი იყო.

ლუკა მახარობელი მოგვითხრობს, რომ იოანეს მამას – ზაქარიას ტაძარში მთავარანგელოზი გაბრიელი გამოეცხადა და მისი ვაჟის მომავალი დაბადება აუწყა... და, აი, კეთილმსახურ მეუღლეებს, რომლებიც ხანში შესულობამდე შვილის ნუგეშს მოკლებულები იყვნენ, ბოლოს და ბოლოს უჩნდებათ ვაჟი, რომელსაც ისინი ლოცვაში ითხოვდნენ.

წინასწარმეტყველი იოანე გაიზარდა ველურ უდაბნოში. ის დიდი მსახურებისთვის საკუთარ თავს მკაცრი ცხოვრებით – მარხვით და ლოცვებით ამზადებდა. ის ატარებდა უხეშ, ტანისამოსს, რომელიც ტყავის ქამრით ჰქონდა შეკრული. იოანე იკვებებოდა ველური თაფლით და მკალით.

ერთი საეკლესიო ლოცვის მიხედვით, წინასწარმეტყველი იოანე ცისკრის ნათელი ვარსკვლავი იყო, რომელიც თავისი ბრწყინვალებით ყველა სხვა ვარსკვლავის ნათებას აღემატებოდა და მადლიანი დღის წინა დილას გვაუწყებდა, სიმართლის მზის – ქრისტეს მიერ განათებულს.

**გიული ლიპარტია**

## საქართველოში ტემპერატურა 35 გრადუსს მიაღწევს!




**გარემოს ეროვნული სააგენტო უახლოეს დღეებში მოსალოდნელი ამინდის შესახებ ინფორმაციას ავრცელებს.**

**გარემოს ეროვნული სააგენტოს ცნობით, 6-7 ივლისს დასავლეთ საქართველოში შენარჩუნებული იქნება ცხელი და უმეტესად უნალექო ამინდი. ჰაერის ტემპერატურა ზოგან +35, +37 გრადუსამდე მოიმატებს. 8-9 ივლისს ტემპერატურა +25, +30 გრადუსამდე დაიკლებს და მოსალოდნელია წვიმა ელჭექით.**

**აღმოსავლეთ საქართველოში 10 ივლისამდე შენარჩუნებული იქნება მაღალი ტემპერატურული ფონი (+30, +35 გრადუსი). ზოგან მოსალოდნელია წვიმა ელჭექით და სეტყვა.**

**თბილისში მხოლოდ 7 ივლისს უნალექო ამინდი იქნება, დანარჩენ დღეებში კი დღის მეორე ნახევარში ხანმოკლე წვიმა ელჭექით არის მოსალოდნელი. ჰაერის ტემპერატურა დღის საათებში +32, +34 გრადუსი დადასტურდება.**

### არდავიწყება

## ნელი გელაშვილი-გადელია



**უძველესი სიბრძნე გვასწავლის:**

**„ყველა წარმატებული მამაკაცის უკან ძლიერი და ღირსეული ქალი დგას!“**

**დღევანდელ საქართველოში ეს სიტყვები თუ ვინმეს შეეფერება, ეს ჩვენი მრავალრიცხოვანი სამეგობროს ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული წევრი, შესანიშნავი მოღვაწე და მამულიშვილი დემურ გადელიაა.**

**თერთმეტი წელიწადი გავიდა ოჯახისთვის დამაშვრალი მისი მეუღლის, ქალბატონი ნელი გელაშვილი-გადელიას გარდაცვალებიდან და ბატონი დემური დღესაც ასე ამბობს: მოუცლელობის გამო თითქმის ყოველდღე გვიან ღამით ვბრუნდებოდი სახლში, არ მახსოვს, ნელი დაძინებული დამხვედროდეს, ღამის 3 საათზეც კი საოცარ ღიმილს და სითბოს შემომაგებებდა... ერთხანს ვუჯავრდებოდი, რატომ არ წევხარ, ღამის თევა და ნერვიულობა ჯანმრთელობას შეგირყევს-მეთქი, მაგრამ... მყისვე თავდახრილი მპასუხობდა: მე მხოლოდ შენთვის ვცოცხლობ და ვიდრე მშვიდობით არ მომიხვალ, რა დამაძინებსო!**

**საოცრად ზნეკეთილმა და განათლებულმა ქალბატონმა (ის უცხო ენების პედაგოგი იყო) შესანიშნავი ვაჟკაცი აღუზარდა გადელიების დიდ ოჯახს და ახლა ჩვენ გვეამაყება, რომ დათო გადელია წყნარად, მშვიდად აკეთებს თავის საქვეყნო საქმესაც და ორ ბოკვერს – დემურის (დიდი ბაბუის სეხნიას) და იოანეს უზრდის ღირსეულ საგვარეულოს.**

**სააქციო საზოგადოება „არქეოპოლისის“ მთელი კოლექტივი და დემურ გადელიას სამეგობრო-სანათესაო ყოველ 8 ივლისს შესანატრი გულწრფელობით იხსენებს ნელი გელაშვილი-გადელიას კარგ ქალობას, დაუვიწყარ სახელს და ლოცავს მის მონაგარს.**

**8 ივლისს ნელი გელაშვილი-გადელიას საფლავზე ისევ აინთება ხსოვნის სანთლები და მისი სამარადჟამო განსასვენებელი ულამაზესი ყვავილებით დამშვენდება!**

**გმადლობთ, რომ ასეთი იყავით, ქალბატონო ნელი...**

**გადელიების ოჯახის სამეგობრო.**

## საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

# განცხადება

### ზაქრო გლოველის (პ/ნ 38001020040), დავითი გლოველის (პ/ნ 38001009884) და თინათინ გლოველის (პ/ნ 38001025977) შეტყობინების თაობაზე

**ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ექსპროპრიაციის თაობაზე გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით**

საჩხერის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილებით (საქმე 3/292023), შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საჩხერე-ქვემო ხევის საავტომობილო გზის კმ 0+000 - კმ 5+537 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტის (შემდგომში - პროექტი) განხორციელებისთვის, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს (შემდგომში - დეპარტამენტი) აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქეების ზაქრო გლოველის (პ/ნ 38001020040), დავითი გლოველის (პ/ნ 38001009884) და თინათინ გლოველის (პ/ნ 38001025977) თანასაკუთრებაში არსებულ, საჩხერის მუნიციპალიტეტის, სოფელ სარეკში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, 1200 კვ. მეტრი ფართობის, მთლიანი მიწის ნაკვეთის (ს/კ 35.04.47.181) ნაწილზე - 614კვ. მეტრზე, მასზე არსებულ შენობა-ნაგებობასა (ღობე) და მრავალწლიან ნარგავებზე. აღნიშნულ საქმეზე 2023 წლის 23 ივნისს გაცემულია სააღსრულებო ფურცელი.

დეპარტამენტმა, როგორც ექსპროპრიატორმა, დაიწყო გადაწყვეტილების აღსრულების პროცედურები.

დეპარტამენტი მოქალაქეებს სთხოვს მათთვის შეთავაზებული საკომპენსაციო თანხის გადმორიცხვის მიზნით, 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინონ საბანკო რეკვიზიტები, რომელზეც განხორციელდება დეპარტამენტის მიერ შეთავაზებული საკომპენსაციო თანხის ჩარიცხვა. საბანკო რეკვიზიტების წარმოუდგენლობის შემთხვევაში დეპარტამენტი საკომპენსაციო თანხას განათავსებს ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე.

ამასთან, დეპარტამენტი აფრთხილებს მოქალაქეებს, რომ ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე თანხის განთავსება დაკავშირებულია გარკვეულ სანოტარო ხარჯებთან და გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ თანხის გამოტანის შემთხვევაში, თანხის გამომტანი მიიღებს თავდაპირველად შეტანილ თანხაზე ნაკლებ თანხას (დაიქვითება სანოტარო ხარჯები).

## 27 წლის ბიჭი, რომელსაც 4 დღის განმავლობაში ეძებდნენ, გარდაცვლილი იპოვეს

**27 წლის ახალგაზრდა ბიჭი გურამ ყინწურაშვილი, რომელსაც 4 დღის განმავლობაში ეძებდნენ, ტაბახმელაში გარდაცვლილი იპოვეს.**

მომხდარის შესახებ სხვა დეტალები უცნობია. გურამ ყინწურაშვილი 1 ივლისის შემდეგ გაუჩინარდა და მასთან დაკავშირებას ვერ ახერხებდნენ.

## კაცმა ცოლი სასიკვდილოდ გაიმეტა!

**თბილისში, კაცი ცოლს სასტიკად გაუსწორდა. არსებული ცნობით, მან 42 წლის ქალს სხეულზე სახრახნისით 33 ჭრილობა მიაყენა, შემდეგ კი თავში ჩაქუჩი ჩაარტყა. ქალის გადარჩენა ექიმებმა შეძლეს.**

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, 45 წლამდე კაცი ცხელ კვალზე დააკავეს. მას ბრალი ოჯახის წევრის მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის – 11 პრიმა 19-109 მუხლით აქვს წაყენებული.

ექიმები ქალის გადარჩენას 8 საათის განმავლობაში ცდილობდნენ, მას ოთხი ოპერაცია ჩაუტარდა და ის ახლა უგონო მდგომარეობაში, რეანიმაციულ განყოფილებაში იმყოფება.

## განახლებული გზები ხელვაჩაურში

**ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე ცემენტბეტონის საფარის დაგება დაიწყო.**

**აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ 2023 წლისთვის ხელვაჩაურში სხვადასხვა მიმართულებაზე 14კმ-მდე ბეტონის საფარის მოწყობაა დაგეგმილი.**

## ახალი სახლები ავარიულების ნაცვლად



**აბაშის მუნიციპალიტეტში 2023 წლის 11-14 იანვარს ძლიერი ქარის შედეგად დაზიანებული, ავარიული და საცხოვრებლად გამოუსადეგარი 4 სახლის ნაცვლად, ახალი, თანამედროვე საცხოვრებელი სახლების მშენებლობა მიმდინარეობს.**

**სახლების მშენებლობებს აბაშის მუნიციპალიტეტის მერი, გიგა გაბელაია მოადგილესთან, გიგა ჯვარელიასთან და ინფრასტრუქტურის და ურბანული განვითარების სამსახურის უფროსთან, იასონ კიზირიასთან ერთად გაეცნო.**

**აკაკის ქუჩაზე შენდება ვარია სიმონიას, კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩაზე გია გაბელაიას, სამიქაოს ადმინისტრაციულ ერთეულში ანა იმედაშვილის, ნორიოს ადმინისტრაციულ ერთეულში გვანცა ქებურიას საცხოვრებელი სახლები.**

## სამეგრელოში გაზიფიცირების სამუშაოები გრძელდება

**აბაშის, სენაკის, მარტვილის, ჩხოროწყუს, ზუგდიდისა და ხობის მუნიციპალიტეტებში 343 648 გრძივი მეტრი გაზსადენის მშენებლობა მიმდინარეობს, რომლის შედეგად სამეგრელოს რეგიონში მცხოვრები 4 687 აბონენტი შეძლებს ისარგებლოს ბუნებრივი გაზით, – ამის შესახებ ინფორმაციას სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაცია ავრცელებს.**

**მათივე ცნობით, გაზიფიცირების სამუშაოებს საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია ახორციელებს. აღსანიშნავია, რომ 2013-2021 წლებში ბუნებრივი აირი მიიღო 771 დასახლებულმა პუნქტმა, ხოლო 2024 წლისთვის გაზიფიცირებული იქნება მოსახლეობის დაახლოებით 93 პროცენტი“,** – აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

# ოზურგეთი თეატრალურ ფესტივალს მასპინძლობს



**ნოდარ დუმბაძის მეოთხე საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი დაიწყო. მასპინძელი ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრია. ფესტივალი ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრმა დუმბაძის შვილიშვილის ნოდარ მაჭარაშვილის პიესით „ავი მუსაიფი“ გახსნა.**

პიესა ერეკლე მეორის ცხოვრებაზე მოგვითხრობს. რაც შეეხება ფესტივალს – ათი დღის განმავლობაში წარმოდგენილი იქნება 8 უცხოური და 18 ქართული სპექტაკლი. საერთაშორისო ჟიური გამარჯვებულებს რამდენიმე ნომინაციაში გამოავლენს. ფესტივალი ოზურგეთის თეატრის 155 წლისა და ნოდარ დუმბაძის 95 წლის იუბილეებს ეძღვნება, მიზანი ქართული თანამედროვე და კლასიკური მწერლობის პოპულარიზაციაა.

# პროტესტანტები თუ ვანდალები?

**ფრანგული მედიის ინფორმაციით, მასშტაბური საპროტესტო აქციების დროს, მარსელის ბიბლიოთეკის შენობას თავს დაესხნენ და ცეცხლის გაჩენა სცადეს.**

მედია წერს, რომ თავდასხმის შედეგად ჩაამსხვრიეს შესასვლელის მინები და შენობის ფასადს ფეიერვერკებს ესროდნენ, თუმცა ამბოხებულებმა ბიბლიოთეკის შენობაში შეღწევა ვერ მოახერხეს.

შენობა არის მე-19 საუკუნის ყოფილი თეატრი, რომელიც 2004 წელს გადაკეთდა მუნიციპალურ ბიბლიოთეკად. შესასვლელის დაზიანების მიუხედავად, ბიბლიოთეკა უკვე გაიხსნა. საპროტესტო აქციების დროს ასევე დაზიანდა მარსელის ისტორიის მუზეუმის შენობაც. საფრანგეთში უამრავი სკოლაა გადამწვარი. განათლების სამინისტრო 243 სკოლის დაზიანების შესახებ იუწყება.




**„მხოლოდ ხანძრის შედეგად, 60-მდე სკოლას მიადგა მნიშვნელოვანი ზიანი,“**– დასძინა განათლების მინისტრმა. მისი უწყების ცნობით, მთლიანობაში, 243 სკოლა და კოლეჯია დაზიანებული.

მინისტრის შეფასებით, ამჟამად „საუბარია ათეულობით მილიონი ევროს“ ოდენობის მატერიალურ ზარალზე. მისი თქმით, იმ დაზიანებულ სკოლებში, რომელთა შენობები მთლიანად არ დანგრეულა, ზაფხულში სარემონტო სამუშაოები უნდა ჩატარდეს, რათა ახალი სასწავლო წლის დაწყებისთვის იქ კარგი პირობები არსებობდეს.

# მექსიკაში ავტობუსი ხევში გადაიჩეხა

**მექსიკაში ავტობუსი, რომელიც მეხიკოდან სამხრეთ მექსიკის შტატ ოახაკაში მიემგზავრებოდა, ხევში ჩავარდა. შემთხვევის შედეგად დაიღუპა 27 და დაშავდა, სულ მცირე, 21 ადამიანი.**



შემთხვევა ადგილობრივი დროით 6:30 საათზე მოხდა. ოახაკას შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ავარიის შედეგად დაიღუპა 13 მამაკაცი, 13 ქალი და ერთი ჩვილი. გავრცელებული ინფორმაციით, დაშავებული 21 ადამიანიდან 12-ის მდგომარეობა მძიმეა.

# ამაში შეიძლება მიჰბაძონ ნიდერლანდელებს



**ნიდერლანდების მთავრობამ სკოლის მოსწავლეებს გაკვეთილების დროს მობილური ტელეფონების, პლანშეტების და ჭკვიანი საათების გამოყენება აუკრძალა, რადგან ისინი ყურადღებას აკლებენ სწავლას და აუარესებენ აკადემიურ მოსწრებას,** – ამის შესახებ qBx-Urhfbyt ნიდერლანდების მთავრობის განცხადებაზე დაყრდნობით წერს.

**„აიკრძალა TikTok-ის ვიდეოების ყურება გაკვეთილის დროს, თანაკლასელებისთვის მესიჯის გაგზავნა ან ფოტოების გაზიარება Snapchat-ზე“,** – ნათქვამია მთავრობის განცხადებაში.

ამავე ცნობით, სკოლებს აქვთ ვალდებულება, შეათანხმონ ზუსტი წესები მასწავლებლებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან.

**„მიუხედავად იმისა, რომ მობილური ტელეფონები თითქმის განუყოფლად არის დაკავშირებული ჩვენს ცხოვრებასთან, მათ ადგილი კლასში გაკვეთილზე არ არის. მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ კონცენტრირება და მათ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, ისწავლონ კარგად“,** – განაცხადა ნიდერლანდების განათლების, კულტურისა და მეცნიერების მინისტრმა რობერტ დიკგრაფმა. მან დასძინა, რომ სამეცნიერო კვლევების მიხედვით, მობილური ტელეფონები არღვევს სასწავლო პროცესს, ამისგან უნდა დავიცვათ მოსწავლეები, აკრძალვა ძალაში 2024 წლის 1-ელი იანვრიდან შევა.



# თეთრ სახლში კოკაინი იპოვეს

**აშშ-ს საიდუმლო სამსახურის ოფიციალური პირების განცხადებით, კვირას, 2 ივლისს, თეთრ სახლში კოკაინი იპოვეს. ცნობილია, რომ იმ დროს პრეზიდენტი ჯო ბაიდენი სასახლეში არ იმყოფებოდა.** ბაიდენი და მისი ოჯახი 30 ივნისს გაემგზავრნენ კემპ დევიდში და 4 ივლისს დაბრუნდნენ თეთრ სახლში.

**„მიმდინარეობს გამოძიება იმის თაობაზე, თუ როგორ მოხვდა კოკაინი თეთრ სახლში“,** – აცხადებენ საიდუმლო სამსახურში.

საიდუმლო სამსახურის აგენტები კვირას რუტინულ ტურებს ატარებდნენ, როდესაც აღმოაჩინეს საეჭვო თეთრი შეფერილობის ფხვნილი, თეთრ სახლში ტურისტული ჯგუფებისთვის ხელმისაწვდომ მხარეში და არა რომელიმე კონკრეტულ, დასავლეთ ფრთის ოფისში, ოფიციალური პირები არ იყვნენ უფლებამოსილი განეხილათ მიმდინარე გამოძიება და Accoshaited Press-თან ანონიმურობის პირობით ისაუბრეს. თეთრი სახლში 2 ივლისის საღამოს ევაკუაცია გამოცხადდა, დაახლოებით 20:45 საათზე. საიდუმლო სამსახურის განცხადებაში ნათქვამია, რომ თეთრი სახლი დაიხურა სიფრთხილის მიზნით, რათა შეეფასებინათ და დაედგინათ, რომ ნივთიერება არ იყო საშიში. ცნობილია, რომ შემთხვევის შემდგომ თეთრი სახლი მალევე გაიხსნა.

# „ვარსკვლავური ომების“ საიუბილეო მონეტა




**დიდი ბრიტანეთის სამეფო ზარაფხანამ „ვარსკვლავური ომების“ იუბილეს აღსანიშნავად თემატური მონეტების ახალ კოლექციას უშვებს. კოლექცია ჯორჯ ლუკასის საგის მეექვსე ფილმის „ჯედაის დაბრუნების“ პრემიერის 40 წლის იუბილეს უკავშირდება. კოლექციის პირველ მონეტაზე კოსმოსური ისტორიის რობოტი-პერსონაჟები B2-D2 დაC-3ზ0 არიან გამოსახულები.**

დანარჩენ მონეტებზე გამოსახავენ ისეთ ლეგენდარულ პერსონაჟებს, როგორებიც არიან დარტ ვეიდერი, იმპერატორი პალპატინი, ლუკ სქაიუოქერი, პრინცესა ლეა, ჰან სოლო და ჩუბაკა. „ჯედაის დაბრუნება“ ეკრანებზე 1983 წელს გამოვიდა. ეს „ვარსკვლავური“ ომების მეექვსე ეპიზოდია.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ა

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლები:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“ გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 10 ივლისს**

## უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.5969; ევრო - 2.8270;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3162;
100 რუბლი - 2.8710; თურქული ლირა - 0.1003;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5305;
1000 სომხური დრამი - 6.7276

## ამინდი 7 ივლისისთვის

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +17, | დღე +36 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +13, | დღე +34 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +21, | დღე +37 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +19, | დღე +36 |
| თბილისი: | ღამე | +21, | დღე +35 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge